




საპოლიტიკო სამეცნიერო და სალიბერალური ნახაზბანიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს.

სერგეი სპენსერი.

გუშინ, 15 აპრილს, 80 წელიწადი შეესრულდა ინგლისის გამოჩენილ ფილოსოფოსს და მეცნიერს სერგეი სპენსერს. ინგლისის და საზოგადოთ, მთელი ევროპის

განათლებული წრეები კაი ხნიდან შეუდგენ მზადებას ამ დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებათ. — სპენსერი დაიბადა 1820 წ. 15 აპრილს მის შემწავლას სანტუერო საცნებო, მარა ეს ხელობა ჩჭარა მიატოვა და ხელი მოჭკიდა შვედობას. 1851 წ. გამოაქვეყნა პირველი დიდი თხზულება ამ სათაურით „სოციალური სტატუტა“. 1860 წ. დაბეჭდა პროგრამა თავისი „სისტემა სინტეტური ფილოსოფიისა“. ამ სისტემის პირველი თხზულება გამოვიდა 1862 წ. ამ სათაურით: „პირველი საფუძველი“, შემდეგ „საფუძველი ბიოლოგიისა“ (1864 — 67 წ.), „საფუძველი ფისიოლოგიისა“ (1870 — 72 წ.), „საფუძველი სოციალოგიისა“ (1876 — 1885 წ.), „საფუძველი ეთიკისა“ (1879 წ.) და მით დაასრულა თავისი „სისტემა“. გარდა ამისა საურადღებოა მისი: „აღზრდა გონებრივი, ზნეობრივი და ფიზიკური“ (1861 წ.), „კლასიფიკაცია მეცნიერებათა“ (1864 წ.), „შესწავლა სოციალოგიისა“ (1873 წ.) და სხ. საურადღებოა აგრეთვე მისი „პრობლემა სახელმწიფოს წინააღმდეგ“ (1884 წ.), სადაც ის თავის თავს უკიდურეს ინდივიდუალისტით აცხადებს. — ამ ვაშთ სპენსერი ცხოვრობს ინგლისის ჰატარა ქალაქ ბრაიტონში და ამ მოხუცებულობის დროსაც დიდ მუშაობაშია. ის ხელახლა შინაგულს თავის „პირველ საფუძველს“ და, როგორც ამბობენ, თითქმის ყველა კვარდს ცვლის. ეს შეცვლილი და შეესრულები შრომა ჩჭარა უმეტესად პირველ წერდის სპენსერის მოძღვრების შესახებ შემდეგ ნომერში დაესტამავთ.



საქართველოს  
საზოგადოებრივი  
მედიის ცენტრი

# პ რ ე ს ა

VI

„აგერია“.

როგორც ვთქვით, ერთთა-ერთი ყოველდღიური გაზეთი „ღრობა“ 1885 წ. მოისპო და ერთთა-ერთი ყოველდღიური ჟურნალი „ივერია“ 1886 წ. ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა.

ამ წიარათ, „ღრობის“ სიკვდილზე აშენდა „ივერია“ სიკაცხე. ახლა ის შეიქნა არა მარტო ერთთა-ერთ ყოველდღიურ გაზეთად, არამედ ერთთა ერთ ქართულ ორგანოდ საზოგადოდ. ქართულ აზროვნებას, ქართულ ჰიერს და ვიარამს შეეძლო მხოლოდ „ივერიის“ საშუალებით გამოჩვენებოდა ქართველ მკითხველს. ვისაც წერის სურვილი ჰქონდა—უთუოთ „ივერიაში“ უნდა ეწერა, ვისაც რა სიტყმელი ჰქონდა—უთუოთ „ივერიაში“ უნდა ეთქვა, ვისაც ცხოვრების თვალის დევნება სურდა—უთუოთ „ივერია“ უნდა ეკითხა, მეტი გზა არ იყო. შეიძლება თქვენ მწერლობის ნიჭი გქონდათ მომადლებული, მაგრამ თუ „ივერია“ არ გიწამებდათ, ეს ნიჭიც სამუდამოდ გაგიტერებოდა. შეიძლება, მწერლობის ნიჭს სრულიად მოკლებული იყავით, მაგრამ თუ „ივერია“ მწერლად დაგსახავდათ—უთუოთ „მწერლად“ გამოხვიდოდით. „ივერია“ გახდა ქართველი მწერლის (განსაკუთრებით ჟურნალისტის) როგორც მომავლინებელი ისე გამქრავი. ის გაიყვანდა მწერლობიდან იმას, ვისაც კული თვალის შეხედავდა, ის შემოიყვანდა მწერლობაში იმას, ვისაც მოწვევით ვადახედავდა. ეს კიდევ კოტაა. მკითხველს არავითარი კოტხალი სიტყვის მოსმენა არ შეეძლო თუ არ „ივერიის“ საშუალებით. მას „ივერიაში“ უნდა გაეცნო თავისი თავი, თავის სამშობლოს მდგომარეობა; მას „ივერიაში“ და „ივერიაში“ უნდა დაენახა რუსეთი და უცხოეთი. რასაც დაიწუნებდა „ივერია“; უნდა დაეწუნებია მასაც; რასაც მოიწონებდა „ივერია“, უნდა მოეწონებია მასაც.

ერთი სიტყვით, „ივერია“, როგორც ერთთა ერთი ქართული ლიტერატურული და პოლიტიკური გამოცემა,<sup>1)</sup> შეიქნა თავის პატრონის უძლიერეს

რეს იარალათ. თ. ი. ქაჭავაძემ შეიძინა ქართული ორგანოს შინაშედა, ის არის რედაქტორ-მონოპოლისტი და მით ერთი დაკრთი ქართული პრესის სათავეში მოიქცა. პრესა—ეს „ივერია“, „ივერია“—ეს პრესაა. და ეს არა იმიტომ, რომ „ივერიაში“ დამსახურა ასეთი მეთაურობა, დამსახურა ღირსებით და მოღვაწეობით, არამედ იმიტომ, რომ სხვა გამოცემა არ არსებობდა, არ არსებობდა არც გაზეთი და არც ჟურნალი და, მაშასადამე „ივერიაში“ ძალა-უნაუნა ხელში ჩაუვარდა პრესის მონოპოლია. „ივერია“ მთელ თავის ძალას და გავლენას იკრებდა მხოლოდ ამ ძალა-უნაუნა მონოპოლიიდან და ეს არა ერთ და ორ წელიწადს, არამედ მთელ შეიღრვა წელიწადს! (ე. ი. „კვალი“—, მოამბის“ დაარსებამდის). ამ ხნის განმავლობაში „ივერია“ გაბატონდა ქართველ საზოგადოებაში და ქართველი საზოგადოებაც ჩამოქვეითდა „ივერიაში“...

რას ნიშნავს „ივერიის“ გაბატონება? ეს ნიშნავს გაბატონებას მისი ეკონომიური, პოლიტიკური და ზნეობრივი მოძღვრებისა, რომელიც ჩაწულია კვირეულ და თვიურ „ივერიაში“ და რამაც მთელი თავისი საფუძვლი თრთა გაშალა გაზეთ „ივერიაში“. გაზეთი „ივერია“ გაგრძელებდა ჟურნალ „ივერიის“; არც მეტი და არც ნაკლები. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ გაზეთი ჟურნალზე უფრო ძლიერი და გავლენიანი ორგანოა, აქ წერის ფართო ასპარეზია და იმიტომ ზოგიც უსებედლობა, რომელიც ჟურნალში არ ჩნდა თუ ოღნავთ ჩნდა, გაზეთში აშკარა და თვალსაჩინო შეიქნა. ყოველივე გაზეთი თავის მიმართულებას, აზროვნებას და გულის ნადებს უმთავრესთ თავის მეთაური წერილებით გამოთქვამს. მისი დანარჩენი ნაწილი ან საამოა (ახალი ამბები, კორესპონდენტციები, უცხოეთი და სხ.) ან გასართობი (ლექსი, ბელეტრისტიკა და სხ.) და ან გამოკვლევები (ისტორიული, კრიტიკული და სხ.), დიუიური ვერაში, „შინაური საქმეები“, საყურადღებო კითხვები ჩვეულებრივად გაზეთის მეთაურში ჩნდებიან და ასეთ თუ ისეთ დაფასებას ღებულდებიან. იმიტომ „ივერიის“ დაფასებას შეველდებოთ მისი მეთაური წერილების საშუალებით. ეს შეიცავს მის პუბლიცისტიკას და თუ აქა-იქ ფელეტონებიც ამ საგანს ეხებიან—ეს მხოლოდ აქა-იქ, კანტიკუნტათ და გაზეთის საერთო მსვლელობას ვერაფრით ვერ არხევენ. ჩვენ აქ, რასაკვირველია, გაზეთის საზოგადოებას ალვადგენთ, მის საერთო გზა-კვალს გვითუვლისწინებით, ხოლო ამ გზიდან გადახვევ-გდამხვევ-

<sup>1)</sup> საკვირაო პატარა გაზეთი „თეატრი“ განსაკუთრებით სათვარტო გაზეთი იყო და არც ჰქონდა სრული პროგრამა. მისი გამოცემა მონიღამეს, მზარა არ მოგზნდა და სამუდამოდ მოკვდა. ხოლო „მეურნეს“, რომელიც გამოდიოდა ს. სულხანიშვილის რედაქტორობით, (1888 წლიდან) არ ჰქონდა პრესის ხასიათი არც პროგრამით და არც შინაარსით. ის იყო სამეურნეო გაზეთი და სხვა რამეზე წერა არც შეეძლო.

ვას, უცაბდელათ იმის თქმას, რაც მის სისტემას სრულებით არ ეკარება—ყველა ამას არ გამოვიუღებთ. 2)

გაზ. „ივერიის“ პირველი ნომერი იწყება მეთაური წერილით, რომელიც კიდევ ერთხელ გვიმცნებს რედაქციის გულის პასუხებს. ეს „პასუხები“ თითქმის იგივეა, რაც საკვირაო „ივერიამ“ თავის პირველ ნომერში გამოთქვა და რასაც ჩვენ ზევით გავცანით. ახლა მხოლოდ ერთი რამ ახალი მოუმატებია რედაქციას თავისი პროგრამისათვის, სახელმძღვანელო ვის, მკითხველთა რომელი წრის გონებრივ მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს „ივერია“. აი რას წერს ის ამის შესახებ:

„ჩვენი გაზეთის მკითხველთა სსოციალუბო ერთი მხრით შემადგარა მათგან ვინც არა იცის რა, მეორე მხრით ვინც განსწავლული და გამეცნიერებული არიან. თუმცა ამ ორთა, რიცხვით არა თანასწორთა, წყობათა შორის მრავალი სხვა-და-სხვა ხარისხია, ახლო და შორი, ან ერთზე და ან მეორეზე, მაგრამ ჩვენ რომ თუნდა მართა ეს ორი უმწიკრესსა თავა და პოლო ვედილით ჩვენის სსოციალუბისა, მაშინაც გნახდ იქნება, რომ მოვალეობა გაზეთისა ჩვენში უფრო ძნელი და რთული უნდა იყოს. ამ ორ წყობათა შორის დვეს უშუალოდ ზღვარია, ერთი მხრით ანაბანის მწყურვალნი არიან, მეორე მხრით გერეთ წოდებულნი ინტელიგენცია... ანაბანის მწყურვალთა შუქონამი სჯას და სუბარს—ინტელიგენცია ევირის: დადი ხნის ნადეკს გვიცხუნებუბი; ინტელიგენცისა შუქონამი—პირველნი ევირის: ჩვენ ვი არა გვესმის რა და ამისთანა გაზეთი თუნდა იყოს და თუნდა არა. გასაწყობი ის არის, რომ ორთავე მართალნი არიან. ამის გამო ჩვენ უნდა ვევალით ერთსაც გვესხუროთ ჩვენი შეძლებისამებრ და მეორესაც, და თუ ვერ შევძლეთ ორთავეს სამსხურო, უფრო ანბანთ მწყურვალენსაქენ გადავიხრებით. მაშასადამე ჩვენი გაზეთისი სიკეთე ვევალსა უწინარეს ჟერ ამ თვალთ უნდა გაახოშობოდას.“

აქედან ცხადია, „ივერიის“ სურს „ანბანთ მწყურვალეთ“ დაუხლოდენს და მათი გასაგები გახდეს. ეს დაახლოვებია შეიძლება მოხდეს ორნიერთა: ან ამ „ანბანთ მწყურვალეთა“, ანუ ჩვენებურთა რომ ვთქვათ ხალხის, გულის ტკივილებს შენს გულის-ტკივილებათ გაიხდი, მის გარკვევას და ახსნას შეუდგები და ასე ხალხსავე დაუბრუნებ ან არა და უბრალო საანბანო კემშარიტებსა სს-

2) საყურადღებოა ბ. გ. მიაშვილის პუბლიცისტური ფელეტონები, რასაც ჩვენ ვასულ წელს შევხებთ და, მაშასადამე საკუთრო აღარ არის მისი ელემენტოთ ვაფულისწინებია. ამ წერილში ჩვენ განვიხილავთ „ივერიის“ 1898 წლამდი ე. ო. სანამ ის მართლ-მართო მოღვაწეობდა პრესაში, ის ამონაწერები, რომელთა ავტორი დასახლებული არ არის ზელმოწერელია და ეკლეთის თვითონ რედაქციას.

ვაზეთით გახდი და ათსჯერ დაღმევილს ჩაიხდეს მიაწვი, აი შენისთანა ბრიყვის ამის მეტი არ ეკადრებოა. პირველი მიმართულება ერთობლივად და-ყრდნობლიოა შინაურ საქმეთა ვაშოძიებია-განკითხვებზე, ამიტომ ეს გაზა ყოველთვის უფრო რთული და თავსამტრევეია. და აი ამის უფროხის „ივერია“ დლიდან თავის დაარსებისა. ეს თავის საფრთხუნა-ლა განიშორა მე-15 ნომერშია. ის პირდაპირ ამბობს, „შინაური საქმეები“ არა ჩანანო და მით ის კიდებია პირველ გაზსა და ვადლის მეორე გაზაზე. აი მისი სიტყვები:

„მას აქეთ, რაც „ივერია“ გაზეთთ გადაიქცა სს-უბარი არ გაუწყვია მკითხველთან გერედ წოდებულ „შინაურ საქმეთა“ გამო. ეს რასაკვირვებია დად წუნათ უნდა ჩათვალსო გაზეთსა. თუ გაზეთი ჩვენ თაზე ცოტათი მაინც არ მოგვანებებს, ჩვენ ცხოვრებას კვალში არ ჩაუდგება, ჩვენს ცხოვრებისაგან ამოთაულის, თუ მოტრეკეუბულს მოვლენას მთელ სიტყ-სიტყაზე არ აგვეწონისებს, ბრმას თვალს არ აუხელს ამ მოვლენაზე და თვალ-ხედულს მხარს არ მისცემს, იგი გაზეთი უფერულია და უგემური“. „ივერიას“ ძალიანაც უნდა ევევა და ამაზე უნდა ათადოს, მაგრამ ვერ იღებს ისე, როგორც მას სურს და ამიტომ განქუშებს რჩემის. „თავდაპირველი მიზნები უთქმელობისა ხომ ეს არის და ეს. ესეც რომ არ იყოს, ერთი ეს მიზნითა: სად არის გვ „შინაური საქმეები“? თუ არის სადმე, მუდამათ სოროში მიმალულია, მერე ისეთ ხანათ, რომ ციდან ჩამოტანდა მეტეზალითაც უხრწლოა, თავს გართე ვერ გამოყოფიებო“. გარდა ამის, ჩვენ ერთხელ უთავრები და გაუტყულები ვართ. და ასეთებს რა საქმე უნდა მიუთხოვათ. „ცხოვრება, რომელსაც ამისთანა ჭირი დრდნის, ამისთანა ჭია შესჯდომია და ძირს უთხრის, რის მიმთვლინებული უნდა იყოს თუ არა იმისი, რომლის არამც თუ დასახვებ, წარმოდგენაც ვი სსიხლადია და შესახვე-ნებელი“.

აი, როგორი სანთლი საქმებარი ყოვლითა გვრალავ, „შინაური საქმეა!“, „ივერია“ მუდამ იმას ეძებს და მუდამ ჩივის ვერ ვნახეო. აი რას წერს ის 1887 წ.

„გვეუწყებთან რომ შინაურ ცხოვრებას, ადგილობრივ საჭიროებას ჟეროვან ადგილს არ უთმობთ გაზეთში და უბარტისებანი ვაძლეეთ გარეშე საქმეს, სხვა ერთ ცხოვრებას, ზოლიტებს და სს. ბისმრეთი და გლადსტრონით ეურები გამოვავსებდეთ, დამას საზარდო ბისმრევი „ივერიას“ წერილებით შეშინებულნი სსმსხუროლან გადადგეს და ამათ ევრობის ბუდ-იბანდი შეეცვალოსო“. (№ 219, მეთაური ა. ნ.—ლის). ამის შესახებ შემდეგ მოვალეაპარაკებო გვიმრდება ავტორი და დაპირება ვეღარ შეასრულა. ასეთივე სწიგნავს ვხედავთ „ივერიაში“ შემდეგ წლებშიაც. (ის. 1888 წ. № 265 და სს.)



რაკი შინაურ საქმეებზე ბაასი ასე ძნელია, აშკარაა, „ანბანთ მწყურვალეთ“ ამ გზით ვეღარ დაუხლოვდები და იძულებული იქნები მეორე გზა აირჩიო, და იმათ ორი და ორი—ათხიოა—უიჩინონ. და აი „იერიამიც“ ეს ადვილი გზა აირჩია და მასზე მოგზაურობს დღევანდლამის. მაგრამ რომ ეს მკითხველმა არ შეამჩნიოს და უშინაარსობა არ შეწყალოს—მან წერის ახალი მანერა შემოიღო. ეს მისი მანერა „იერიას“ დაბადებიდანვე თან დაჰყვა და 1877 წ. ნ. ნიკოლაძემ ასე მოხდენილათ დაახასიათა:

„იერიას პირველ ნომერს მიუღია „Недѣля“-ს ჩვეულება ბრტყლათ და „დამჯდარათ“ ნამოთქმა სრულყოფილ უნძინუნელთა და ყველასაგან საცნობარ არებისა. იქვე კითხვას, გეონია აი ესევე არის გამოთქმენ ამ აზრს, რომლის გამოთქმამდე ამდენ ნერგონასს სმარობენო. ძდოეს ინელეს სიტყვების ტკარტკუმეს, გადახვევ-გადმოხვევს და ათავებს სტატას ისე, რომ აზრი ვერც კი გიბოვია. შემოძველდა, ბატონებო, ეს მანერა. ათას ნაირი ბრტყლად სახე რომ მიიღოთ, ათას ნაირით რომ გაქვითოთ და წისკალითა გუმართათ საქმე მანდენ იმათ უნდა გათავად, რომ ახალი აზრი გამოთქმით და დაამტკიცათ... ბანაღრია აზრების ბრტყლათ გამოთქმით მწერალი მკითხველ სწოვადგებას ვერ დაჰყუთოფილეს.“ („დროება“ № 26).

ამ გვარათ „ანბანთ მწყურვალეთათვის“ (და მითათვე ერთათ მთელი საზოგადოებისათვის) „ბანაღრული აზრების“ „ბრძნულთა“ მიწოდება—აი „იერიას“ ნიშნობლივი თვისება.


და მართლაც, ეხება ის ბანქს, პოლიტიკას, ენახს, საძოვარს თუ სხვას რასმეს—ყოველგან და ყოველთვის მთელ თავის მჭერმეტყველებას საანბანო აზრების დასაბუთებას ანდობდა. 1886 წ. „იერიამ“ ისევ საბანქო კითხვებმა მოიკცა და მეორე თვისი ათავის არტიკლითა დიმიტრი ყიფიანის დასამარცხებლათ ამოძრავა. დ. ყიფიანს არ მოჴონდა ბანქის ზოგი წესები, (როგორც მაგ. სესხის სიძვირე და სხ.) არ მოჴონდა მისი ვაგვგობის საქციელი და ეს ერთ პატარა წერილში თავმოყრილ „იერიამში“ დაბეჭდა (№ 109 „წერილი რედაქციის მიმართ“). ამის პასუხათ დაიბეჭდა ხუთი მეთაური წერილი (№№ 113—117), რის გამო დ. ყიფიანმა მათ ავტორს „მრავლათ შეტყველი“ უწოდა. (№ 131). შემდეგ კიდევ რვა მეთაური მოანდომა დ. ყიფიანის აზრების გარჩევას ბანქის შესახებ (№№ 144—147, 150—152 და 154) და ამით კიდევაც გაათავდა საბანქო პოლიემიკა. საყურადღებოა ის, რომ „იერიას“ მეთაური ავტრ 30 წელზე მეტა კრედიტის შესახებ წერს და ვერასოდეს თავის წერილში საანბანო კემშარიტებას ვერ გაცილდა. კრედი-

ტი ორ პირი მახვილია, ფულის ამღებმანქანითი დროზე უნდა დააბრუნოს, ბანქი არავის არაფერს შეაჩინეს და სხ. ასეთი—აი რას უჩინინებს „იერიამ“ მკითხველთ.—ასე თუ ისე, ბანქის კრიტიკოსები 1886 წელს შემდეგ დადუმდენ და ამიტომ დადუმდა „იერიაც“. მან ახლა თავისი საბანქო ხმალი ქარქაშში ჩააგო, ჩააგო იმიტომ რომ სპეკორობებისამებრ ისევ ათავოლა და თავისი მომავლითების სურვილი აესრულებია. და აი ხუთ წელს შემდეგ „იერიამ“ ისევ ისხამს საბანქო ფარ-ხმალს და მახამლის ოპოზიციას ეომება... (მახამლის პარტია შედგა 1891 წლიდან).<sup>3)</sup> ის ამ ზედ-მოსვენასაც ამარცხებს და ისევ მოსვენებას ეძლევა...

გარდა ბანქისა და უცხოეთის ამბებისა, „იერიამ“ უმთავრეს თავის ყურადღებას სოფლის ამბებს აქცევს. ის საქართველოში ხელდაეს მხოლოათ სოფელს, ხოლო სოფელში ერთი მხრით თავიდა-აზნაურობას, გლეხობას და სასულიერო წოდებას, ხოლო მეორე მხრით ჩართ და სოფლის მოხელეთ (შამასახლის, მწერალი და სხ.). ამ ორ ბანაკათ არის გაყოფილი სოფელი და მათ შორის წარჩნელებს ბრძოლა. ჩარჩები აწულებენ ყველას განურჩევლათ წოდებისა, ხოლო მოხელენი კი გლეხობას. ასეთია „იერიის“ შეხედულობა სოფელელთა განწყობილებაზე. ამით რასაკვირველია, განხეთქილება ბატონებს და ყმის, უმამულოს და მემამულის შორის იმალება და მის აღმავს დგება განხეთქილება ჩართ და სოფელელთა შორის. ხოლო რაკ შეხებმა თვით წოდებების დანაწილებას და ახალი კლასების აღორძინებას, სოფლის გადასხვაფერებას და სოფელთა გაქალაქებას—ყველა ეს გაზნისათვის საიდუმლოებით მოტულია. მინუნელიობა თანამედროვე ქალაქის, მრეწველობის და აღმ-მიცემობის ერის აღორძინებაში—„იერიას“ სრულებით არ ვაგვება. ამის შესახებ ერთი მოწინავე წერილიც არ არის გაზეთ-

<sup>3)</sup> აქ უნდა მოვიხსენიოთ „იერიის“ მეთაური წერილები დივიდენდის გაუქმების შესახებ (1890 წ. № 58, 59). ავტორს მოჴყავს დივიდენდის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა აზრი, ხოლო თავის საკუთარ აზრს არ ამჴლავებს. მაგრამ თუ დაუკვირდებით იმას—თუ რომელი აზრი როგორ მოჴყავს—ავტორის აზრიც აშკარა იქნება. ის ერთ მოწინავე წერილს ანდომებს მომხრეთა აზრის მოყვანას, მეორე წერილის პირველ ნახევარს მოწინააღმდეგეთა აზრის მოყვანას, ხოლო მეორე ნახევარს ამ უკანასკნელთა კრიტიკას (მომხრეთა შეხედულებათ) და ბოლოს მკითხველი სცნის: დივიდენდი საკითო ყოფილაო! ზეზის ჯობია ღონისა—ეს არის, მთუ ხელდაეს ამისა, ბანქის კრებაში იმავე წელს დივიდენდი განახევრა, ხოლო 1891 წ. თვითონ გამკეობამ წარადგინა პრექტი დივიდენდი მოვსპოთო და ის იყო მოისპო.





ს. ბ. კვინიტაძე

ქართველი ქალები ბაზუ.

ენებს არა მხოლოდ  
ბი და სოფლის გავრე  
თ ალარაფერს ხედავს.

როგორ ემსახურება „ივერია“ სოფლის საქრობას?

რაკი სოფელი რქმნა აღსარებული ბურჯით თანამედროვე ეროვნებისა, ცხადია სოფლის წარმოება ანუ შეურნეობა უნდა აღსარებულიყო საძირკვლით ახალი ცხოვრებისა. ეს აზრი „ივერიაში“ ჯერ კიდევ 1881 წ. გადაჭრით გამოთქვა. იმისი სიტყვები:

„დავს, ბატონებო, ჩვენის გულითაღის ფიქრით; ქვეყნის ამისა, ვისაც ერთ ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში გუთანს“ ხმალი იცავს გუთანს, ხოლო გუთანს ასაზრდოებს ხმალი.

„გუთანს კი ერთი განსაკუთრებული მშვიდობანი დანიშნულება აქვს: დედამისის უხვი გული გადაგვიშლის და იქიდან საზრდოება გვაწოდოს. გუთანი, ქართველობა, გუთანი და ხმალი იყოს ფარი მისი. თავი და ბოლო აქ არის დამიჯერეთ... შუობანი მისი ვინც მისაზე ფეხს გადაგულდა და მისას ამოქმედებს ხმალი მფარველობის ქვეშ. თვითონ დიდი რძში, თი-

ში მოთავსებული.“) ცხადია, ის ძველბურ აზრო-

4) ერთი ერთი მოწინავე წერილი, რომელიც ასე თუ ისე შეეხება ამ საგანს, ვაჟთინის ბ. პ.-ს, აი რას ამბობს ის: „თილისი საქართველოს დედა ქალაქია, ვაზობთ ხოლმე. ამ სიტყვით გვინდა ვთქვათ, რომ საქართველოში ცხოვრების წინწამყვანი ძალა, აზრი, გემოვნება, სწავლა, ახალ-თაობა—უველაფერი, სიმღერა და თვით შილა თილისში უნდა ჩნდებოდეს და ქვეყანას ვფინებოდეს. სწორით, ასე არის, რაც ქალაქში ჩნდება და იბადება.—ის ედება მთელს ხევს მზარეს, კარგი ჭიან თუ ავი“. (1889 № 113) ეს საყურადღებო სიტყვები დარჩა ხმალი მლაღლებელისა უდაბნოსა შინა, იხ. ამის შესახებ კიდევ ბ. ანტ. ფურცელაძის წერილი 1889 წ. № 162).

თქმის მთელის ქვეყნის მშენებელი, დაეცა იმიტომ რომ მარტო ხმალი ეჭირა ხელში და გუთანს კი არა. ვოველივე ეს იმიტომ კი არა ვთქვა, რომ აჭო და გუთანს გეგნირავს ხელში, გულზე ხელები დავიკრიფეთ და ამით მოვიწინათ თავი. არა, ბატონებო, გუთანს ცოდნაც უნდა, რომ ერთი ათად ვასუ მტეი შექმდოს, რის შემძლებელი აქმომდე იყო. ერთი უმთავრესი სახსარი ცოდნის შექმნისა სკოლაა და იმ ცოდნისა, რომელაც გუთანს, ანუ უკეთ ვთქვათ, მისის მოქმედებას ხელს უწყობს და შექმერის, სამეურნეო სკოლაა“. (№ 11-1, შინაური მიმობილვა, გვ. 152—153).

ამასვე იმეორებს „ივერია“ 1882 წ. (იხ. №№ 7—8, „შინაური მიმოხილვა“) და შემდეგ 1887 წ. „ივერიაში“ ეკითხულობთ:

„ჩვენა ქვეყნის ძლიერმა და უხემა ბუნებამ, მისმა აურებულმა სიმაღლემ უფვე მიიქცა კერძადაც კაპიტალიზმის უურადლებას; ეს კაპიტალიზმი უფვე დაწესებულ სიმაღლეს, და ამისთვის და შემოაერთეს ეოველ სიმაღლეს; რომელიც სჯილად გამოეცლება უმრავლესობას და რომელიც დასის ან წოდების სჯილს მოიქცევა. კაპიტალისტური წარმოება ამ ქვეყანაში, რომლის მცხოვრებნი დარბიანი და უმეცარნი არიან, მცხოვრებთა მიწის გამოყენების და თვითონვე ამუშაების, ამოქმედების მიწის ძაღდნის და სიმაღლეს. აი ამიტომაც ჩვენთვის მეტათ საჭიროა აღუჭურვეთ, სხვათა შორის, ისეთის სწავლა-ცოდნით, რომელიც საშუალებას მოგვცემს ბრძოლა ვაუწოთ კაპიტალისტურ წარმოების მავნე მხარეს. თუ კაპიტალისტური წარმოება, უნდა კაპიტალების შემოსევს აუცილებელი საჭიროა, საქმე ისე უნდა მოვაკვართ, რომ ჩვენა სიმაღლემ ჩვენთვის არ დარჩეს გამოუყენებელი. ცხადია, რომ ჩვენში ფართო ცხა უნდა მივიღოთ სამეურნეო სწავლა-ცოდნას, რათა ამ საშუალებით ხალხს სჯილში მივიღოთ ისეთი სასხარა, რომელიც ეკონომიურ ბრძოლას გაუღებლებს და ბუნების, მიწის საუხეს და სიმაღლეს არ დაუკარგავს.“ (№ 177, მეათური ს. ა. — დას).

აი ასეთი სასწაულო-მომქმედი ყოფილა სამეურნეო სწავლა-ცოდნა! ის თურმე კაპიტალიზმსაც კი შეგებობოლება და მის მანვე გაღუნისაგან ვეინხნის! ამ სახით, მეურნეობა გამოცხადებულია ბურჟუათ ერის ცხოვრებისა, ხოლო მეურნეობის ბურჟუათ სამეურნეო სწავლა-ცოდნა. მაშასადამე, სამეურნეო სწავლა-ცოდნა არის ბურჟი ერისა: აი აქედან წარმოადგა ის დაუსრულებელი ღღადი სამეურნეო სკოლების გამოცვლების შესახებ, რამაც მოიცვა ქართული პრესა თითქმის დღევანდლამდე „ივერიაში“ მანქნ ნიშნში ამოღო სათავად ანაბურის სასწავლებელი და ამაზე ხმას არ დაძაბავდა ისე, რომ თან არ დაეყოლებია: გავაუქმოთ მისი პროგნაზიული კლასები და მათ ალაგას სამეურნეო კლასები გაუსწრაო. (იხ. 1887 წ. № 187, 188, 201 და სხ. 1888 წ. №№ 41, 43, 44, 48 და სხ.) საბედნიეროთ, ამ ვაზუნთ იმდენი გავლენა არ დაურჩა, რაც ეს თავისი წადილი იესრულებიდა და თავდაზნაბურობისათვის თავისი პლანები თავზე მოეხეია. სამაგიეროთ ის შეუდგა თავისი მეათური წერილებით სამეურნეო ცოდნის გავრცელებას. კახეთში მაგ. ვენახს მისდევნ, ღვინოს ყიდნან და აქედან სულს იბრუნებენ. და აი „ივერის“ რედაქტორიც ღვინის წარმოების შესახებ ათავსებთ მთელ რიგს წერილებს (1887 წ. №№ 28, 35, 37—40, 44—47, 49—50 და სხ. ყველას ვინ ჩაპო-

თლის). და თითო მეათურში გძლით აბრკვევს მისს, რაც ყოველ სამეურნეო წიგნში ღვინის შესახებ მოკლეთ არის გამოკვეთული. ვენახს სხვა-დასხვა ავთაყოფობა გაუჩნდა და აი „ივერია“ მინის მისამეღებლია; მიღლით, ნაჯარი, ფლოქსერა და სხ. მისი მოწინავე წერილების დაუსრულებელი საგანია. საძოვარი, სარწყავი წყლები, ხენა-თესვა და სხ. და სხ.—აი საგანი „ივერისა“. როცა ყველა ამას ეკითხულობთ, თავის თავს ეკითხებით: ნუ თუ ეს არის ეურნალისტური მოღვაწეობა? ნუ თუ ეს სამეურნეო პუბლიცისტიკა და ისიც ისე გეათნურებული წარმოადგენს „შინაურ საქმეებს“? რასაკვირველია არა, და იმიტომაც ჩიოდა „ივერია“ „საშინაო საქმეები“ არა ჩანან, და ჩვენ ხომ ვერ გამოვიგონებთო, ხოლო ვაზუნთის მუდამ უცხოეთის ამბებით ავსება უხერხულია.

მეორე მხრით, სოფელი ჩარჩები ცხევა, საქირობა მათი თავიდან მოცილება და აი „ივერია“ შეუდგა ამ საქმეს. მისი ზრით საკმარისია დეპუტატების გამრავლება, რომ ჩარჩი ძირ-ბულიანათ განადგურდეს. აქედან წარმოდგება „ივერის“ დაუსრულებელი ღღადი „შინაგაუბების“ შესადგენათ. (1886 წ. № 279, 1887 წ. № 125, 1889 წ. № 26, 1892 წ. № 67 და სხ.)

ერთი სიტყვით, სოფელი და სოფელში—აი რა დააწერა „ივერიაში“ თავის დრომზე. მით მან რასაკვირველია, სულ მთლიან შეაბრუნა თანამედროვე ვითარება და მთელი მისი ძარღვი ქალაქიდან სოფელში გადაიტანა. და რომ „ივერის“ ამ მხრით გაღუნა ქონებოდა და საქართველოს მისი პროგრამით ევლო—დღეს შექველია უფსკრულის კიდებზე გამოდგებოლით, ქართველობა მოზორდებოდა ქალაქებს, საღლებ-მიცეო ცენტრებს და სოფლის ტერიათ გადაქცეული უცხო ტომთა მეტოქობას ოდნავათ ვერ გაუძღებდა. მაგრამ მაღლობა ღმერთს, „ივერია“ ყველა ამას თავისთვის ღაპარაკობდა და ორიოდვე გულ-უბრყველო შეცდომაში შეგყავდა, თვით ერი, ხალხი მას არ ეკითხულობდა და რომც წაეკრება თავის საისტორიო გზას ერთხელაც არ ულაოტებდა... აშკარაა, „ივერია“—ეს ერთ-ერთი ქართული ორგანი—მიღლიდა ვართ მხარზე, ხოლო ჩვენა ხალხი კი მცორებზე. ვართმა სრულებით ვერ აართვა ადლო ცხოვრების მსგელობას და თავის მიერ შექმნილ ფანტაზიაში გაიხლართა. და განა ეს არის მოღვაწეობა? ეს არის ეურნალისტკაცა, პრესა, პუბლიც-სტიკა? ამას ჰქვია თვალახილული წინაშელო? არა, სრულიადც არა. „ივერის“ პანკორებისაყენ დაარსებულს, გადაფარა ბანკი და ჩვენი ერის მოძრაობა არ დაანახა. და მით ჩვენი

აზროვნება და შორს მხედველობა ათი წლით მაინც უკან დასწია...

„ივერიის“ მხოლოდ ერთთ ერთ ღალადს მიეცა საფუძვლილი და ახალ ცხოვრებასაც შეთანხმდა. ეს არის სამკითხველოების დახსნა, მარა ესეც პირველათ სოფლის მასწავლებლებმა აღძრეს და მხოლოდ შემდეგ წაატანეს ხელი „ივერიის“ ხელმძღვანელებმა (1888 წ. № 276 და შემდეგ). გარდა ამისა, დაცვა ძველი ნაშთების, შესწავლა ისტორიის, არქეოლოგიის, საერო ისტყეიერების და სხვა—ეს დიდად საქირთა, მაგრამ „ივერიაში“ ერთხელაც ვერ გარაკვია რა მნიშვნელობა და რა კავშირი აქვს ყველა ამას თანამედროვე ჩვენს მოქალაქეობასთან და რას უნდა გვასწავლდეს ის მერმისისთვის. ის უბრალო ქადაგებით დაკმაყოფილდა—ეს საქირთაო—და ამიტომ ამ ქადაგებამ სასურველი ნაყოფი დღემდის ვერ მოიტანა.

ამ ნაირათ, ვაზ. „ივერიის“ მეთაურთა უმთავრესი სავანია: ბანკი, სოფელი და მასთან შეკავშირებული სასოფლო კიბხეები და სხვა-და-სხვა დარღვება-ქადაგებები ისტორიის შესწავლის შესახებ. ყველა ეს რასაკვირველია, დაწერილია „ივერიულთა“ ე. ი. „ბანალური აზრების“, „ბრტყლით“ გამოთქმით.

ასეთი შეხედულობები შეიმუშავა „ივერიის“ პატრონმა და ასეთივე შეხედულობები შეათვისებია და აქადაგებია ყველა თავის თანამშრომლებს. ესენი გახლავან წვერნი „შუათანა თაობის“, ჯგუფი ჟურნალ „იმედის“, წინანდელი მოწინააღმდეგენი „ივერიის“ და ახლა გაივერიელბულნი. ან კი რა ექნათ, „ივერიის“ გარდა ორგანო აღარ იყო, რამდენ თავისი აზრები გამოეთქვამთ და ემოლკებოდნენ. იმით ან ხელი უნდა აეღოთ წერაზე და ან „ივერიის“ დამორჩილებოდნენ. იმით არჩიეს ეს უკანასკნელი და ნელ-ნელა გადაბარდნენ „ივერიაში“. პირველათ გადავიდა ბ. ნ. ურბნელი—1886 წ., 1887 წ. „ივერიაში“ ეხედავთ ბ. სნოსა, გრ. ყიფშიძეს და ა. ნა—ლს. <sup>5)</sup> ყველაზე მეტი მოწინავე წერილია

1886—1889 წლებში; შემდეგ კი „ივერიაში“ ლიან სუსტობს ამ მხრით; მაგ. 1891 წ. გამოვიდა 277 ნომერი, ამაში მოწინავე წერილია სულ 66-დღე, ამაში მხოლოდ 14 ეკუთვნის რედაქტორს, დანარჩენნი სხვა-და-სხვა თანამშრომლებს; 1892 წელს 278 ნომერში მოწინავე წერილი 80-დღე; ამაში რედაქტორისა მხოლოდ ათი, დანარჩენი სხვებისაა. <sup>6)</sup> აშკარაა, თითონ რედაქტორი ბოლოს და ბოლოს თითქმის აღარავითარ მოწინავეობას არ დებულა და თავის ვაზეთში. ის კმაყოფილდებოდა იმითაც, რომ მის დედა-აზრებს ასე ვულომდებოდა ავრკულდებდნენ სხვები. ვარემე მაყურებელს გაცნებოდა, საქართველოში უთუთო ყველა ისე ფიქრობს როგორც „ივერია“, თეარა ვინმე სხვა ჰანგზედაც დიფიყებდა წერასო. მაგრამ სად ეწერა, რომელი ორგანოს საშუალებით გამოეთქვამთ განსხვავებული პროგნოზა და აზროვნება? უტყველია მთელი ქართველობა „ივერიის“ თავს ვერ მოიბამდა და მის ყველაფერში ვერ დაეთანხმებოდა. სხვა-და-სხვაობა აზრის და მიმართულების—ცხოვრების მოძრაობის ძირითადი თვისებია და ნუ თუ მარტო საქართველო გამოირჩევიდა თავის თავს ამ მოძრაობიდან? რა საკვირველია არა, და აი ამ მოძრაობამაც გაარღვია „ივერიის“ მონოპოლიური ფარგალი და 1893 წ. დაარსდა ახალი გაზეთი, ხოლო 1894 წ. ახალი ჟურნალი. ესენია „კვალი“ და „მოამბე“.

და ენის მნიშვნელობას სწავლებაში. (1890 წ. № 100—104, შემდეგ დაბეჭდა ცალკე წიგნაკით). საყურადღებოა აგრეთვე ბ. ი. ბებავიძის „ქუთაისის ბანკის საქმე“ (1890 წ. № 167—173, გამოვიდა ცალკე) და, განსაკუთრებით, მოწინავე წერილი თფილისის 1891 წლის ხმოსანთა არჩენის შესახებ (№ 1891 წ. № 24. ამ წერილს ჩვენ შემდეგ მოვიყვანთ).

<sup>5)</sup> ამ წერილთ შორის ევროპას შეეხება 30, დანარჩენი სხვა-და-სხვა „საინაში“ სავაზე. აი სანიშნულო სავანი ამ წერილებში: ნათლის ღების ღღეს სომხების ხიფის ჩამტყვევა და ხალხის მტკვარში დარჩობის შესახებ (№ 4, 5, 11 რედაქტორის). ქუთაისის ხმოსანთ არჩენის გადაღება (13, რედ.) სავარჯიშოს სასოფლო მალაზიის შესახებ (21, 25, რედაქტ.), ფილოქსერა (28), მეურნეობაზე (51), ლენის მოსავლი (63), წიგნების დატარება სოფელ-სოფელ ვასაკიდათ (97), ხოლერა (135, 141, 156, 147, 159), სოფლის მწერალი (187), ჩარებზე (232) და სხ. 1891 წ. ნომრების მოწინავე წერილები: ფილოქსერა (3, 7, 13), ცესარევიჩის მოგზაურობა აღმოსავლეთში (10); ქალაქის ბომოსანთ არჩევანი (24, რედ.) სამწყვიტ წყლების შესახებ (47), თავდა-აზნაურთა კრება (72), მარტორის სამავალითი სამრევლო საყურადღებოების გამო (78—79), ჩარებები (99), სამრევლო სკოლები (120, 127, 136), ქუთაისის სამეურნეო სკოლა (186), სიმშობლია რუსეთში (190), თავდა-აზნაურობის დაქვეითება (273—275, რედაქტ.) და სხ. ამ ორ წელიწადს ძალიან ბევრი მოწინავე წერილია ბ. ა. ფრანკლის. ის საუკეთესო წარმომადგენელია „სოფლური“ მიმართულების; მისი მერმენდალი წერილები გლბე-კაცობისნადღებების შესახებ ყოველთვის საყურადღებოა.

<sup>6)</sup> „ივერიაში“ სასიამოვნო საკითხავია ბ. ბ. ი. ხონელის, სანის და დონიკოს ფელტონების; ი. ხონელი 1887 წ. „ივერიის“ თავს აწებებს; ბ. სანო იმდენათ შორს წაიდა სოფლურ მმართველებში, რომ ერთ ფელტონში მთიულებზე გვიითვისეს—აი იქ უნდა ეხებდეთ ზნეობის და ცხოვრების იდეალსო (1892 წ. № 59). ბ. ნა—ლი შეიქნა გაზეთის ხელმძღვანელთა და მის მეთაურ წერილებს ჩვენ ბედათ 1887—1889 წლებში. სახვადლოთ, „ივერიაში“ ყველაზე მეტ მოწინავე წერილებს თანამშრომლები ათავსებენ, ყველაზე ნაკლებს თვითონ რედაქტორი. ამ მოწინავე წერილთ შორის დიდად საყურადღებოა ი. გოგებაშვილის „ძირითადი უკუღმართობა“, სადაც ავტორი საფუძვლიანათ არტყვის დე-



ამ დღიდან „ივერიას“ ხელიდან გაუვარდა პრესის მონაპოვოა, მას გვერდში ამოუდგინე ახალი გამოცემები და მათთვის ანგარიში უნდა გვეყოს.

რა მოიტანეს ამ ახალმა ორგანიზაციებმა და რანაირი განწყობილება ჩამოვარდა მათ და „ივერიას“ შორის—შემდეგ წერილში დავინახეთ.

6. ჟორდანია

სხვა-და-სხვა ამბები

ფილისის ცხენის რკინის გზის მოსამსახურე კონდუქტორები და კურჩები, რომელნიც პირველი იანვრით დატუსაღებულნი იყვნენ მეტეხის ციხეში, უკვე გაათავისუფლეს სატუსაღოდან.

ცხენის რკინის გზის დარეჟქორა ბ. რომის საყურადღებო ცვლილება შემოუღია „კონკაზე“ მოსამსახურეთათვის. წინანდელი სამუშაო დღე ერთი მესამედით შემოკლებია, ხოლო დღის ქირა კი ისევ წინანდელი დაუტოვებია. მაგ. კონდუქტორი წინეთ მუშაობდა დღეში 16—18 საათს, ახლა კი 10—11 საათს, ეს ცვლილება ეს ერთი კვირაა რაც ძალაში შევიდა.

„ცნ. ფურ.“ მოყვანილია სტატისტიკა შესახებ იმისა, თუ რამდენი ცალი დაბეჭდილია დღემდის ბ. ი. გოგებაშვილის სხვა-და-სხვა სახელმძღვანელონი და საკითხავი წიგნაკები. მაგ. „ბუნების კარი“, რომელიც პირველათ დაბეჭდა 1868 წ., დღემდის დაბეჭდილია 50 ათასი; „დღეა-ღა“ (პირველათ 1876), 218 ათასი, „კუკორა“ (1865) 60 ათასი, „ხომლი“ 4 ათასი და სხ. რუსული სახელმძღვანელონი: „Русское Слово“ პირველი ნაწილი—80 ათასი, მეორე ნიწილი—37 ათასი და სხ. სულ ყველა ერთათ აღებული ნახევარი მილიონ ცალმდლის იქნება. ეს პირველი მაგალითია, რომ რომელსაშე მწერალს ჩვენში ამოდენა წიგნი ვაგასაბიოს და ისიც თავის სიცოცხლეში.

გაზეთების სიტყვით, პეტერბურღში არსდება სააქტიონერო საზოგადოება, რომელსაც აზრათ აქვს სობუძსა და ახალ სენაკს შუა რკინის გზა გაიყვაროს. გზის გამოკლდევის ჩქარა შეუღდება.

ქუთაისის გუბერნატორმა ბ. გერშელმანმა „ქუთაისის უწყებების“ საშუალებით საყვედური გაიკრულა და შორაშნის მახრის მკურნალს ტეროლიკის იმის გამო, რომ ქუთაურის მადნობის მუშათა საავთმყოფო უკლდით მიჰყავს და საზოგადორო მადნეზში ქსენონი ექიმობის მხრივ უკლ მდგომარეობაშია ჩაყენებულიო.

ქუთაისიდან გვეყრ: ქუთაისის ხელოსანთა სამართველოს თავი ბ. მიხეილ კანდელაკი მოვარობის ვანკარ

გულებით გადაყენებულ იქმნა თავისი თანამდებობისაგან. და-თხოვნის შედგეი გამოიწვიო კანდელაკისანვე ჩადენილ ური-გო საქციელმა, რომლის ნიმუში „კვალში“ არა ერთხელ ყოფილა ანუსული. ხელოსანთა თავის მოვალეობის აღსრუ-ლება დროებით დავალა კანდელაკის პირველ თანამშემუ-ბ. ფილიპე ხელაძეს. ჩვენ რამდენაოც ვიტყობთ ბ. ხელაძეს, —ის არ არის იმდენ განთვარებას და ენერჯიას მოკლებუ-ლი, რომ სახელსონო ვამეცობის საქმეთა მსვლელობა არ გააუშუჯობს, თუ კი მას კერძო ინტერესებისაგან აღტურ-ვლი პირნი ხელის შემშლელი არ აღუჩნდებიან. მაგრამ მისდა საწინააღმდეგოთ ახლავე ანუდრებულა მამასახლისობის თანამდებობის მოტრფილე, მეორე თანამშემუ-ბ. ივანე ხო-ჯაშვილი და ჩივის თითქოს ფ. ხელაძეს მისთვის ხე-ლის შემებით შეურაცხვეფა მიეყენებინოს თვით სახელსონო გავგეობის „კამრავში“. დანასტკიცებლათ საჩივრის ასა-ხელეხს ვითომდა შემთხვევის მაყურებელს ბ. კანდელაკს და ბევრ სხვა არა დამსწრეთ. თუ სახეში მივიდვებთ ხელოსანთ უზრავლესობის შემედულებას და მასთან ბ-ნის კანდელაკისა-გან ავა-იქ კერძოთ ნაამბობს, ხოჯაშვილის საჩივარი ცილის-წამებთ მისანდელი და სასურველია, რომ ყოველივე ამის გამოკლევას დღეი სიფრთხილოთ მოეპყრას ის, ვისაც ამ ან-გინის გამოძიება ექნება მიწოდბილი.

„კეკელი“ კორესპონდენციები

სად. კარაკაისა. სადგური კარაკაისი მდებარეობს მეტათ შიპა-გორიან ადგილზე, აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით ავრავს სოფლები: კიშლაიანი, იაკუ-ბუღა და სოფ. დიდა კარაკაისი. კარაკაისი არის თათრული სახელი და იქაურულია ნიშნაც შავ კელქასი. ეკუთვნის ალე-ქსანდროზობისა მზხანს ერეკნის გუბერნიისაში. მცხოვრებ-თა რიცხვი 900 კომადამა, უმეტეს ნაწილათ სომხები, რომელთა უმრავლესობა ჩვეულებრივთ ვაჭრობას მისდევს. ავა-იქ შეხვდები მიწის მომუშავე თათრებს და სომხებს, აქვე, ამ სოფელში არის შიპასუბული სტენა, სადაც ათასში ერთხელ იმართება ადგილობრივი ინტელაგერენცის თა-რისობით რუსულ-სომხური წარმოდგენება. დიდა ხანი არ არის რაც სწავლა განათლებას სოფ. კარაკაისში შე-მოუდგამს ფეხი. აქამდის აქ არსებობდა მხოლოთ ერთი სასწავლებელი და ახლა კი ორ კლასიანი ნორმალური სასწავლებელი მიუმატეს, რომელიც შიპასუბულია შეუ-ნიერ სუფთა ქვეს შენობაში. ორივე სკოლაში 200 ქალ-გავი სწავლობს. სხვათა შორის კარაკაისლებს აქვთ სა-სოფლო საყვამოყეთა და ათიანქი, უკანასკნელი მათნი მალე გახუტებეს სულს, რადგან, ჰრფიხიან ბ-ნ ბო-რისი სიტყვით, ათიანქს ვაჭრობა სულაც არა აქვს და მის მიხეჯე იმაში მდგომარეობს, რომ მცხოვრებნი მკათხავის რჩევას მყოფობებენ ნამდვილი ექიმის დასმა-რებას, წყლათ, ჰყოთ და მთებთ ეს არა-მარე უხვათ დასაჩუქრებულთა: ორივე შირი სოფელს ჩაშთოდას მი-ანარეუბი სახელდობრ: ბამბაკი და ხანჯურთი, სადაც იქარენ

სხვა-და-სხვა თევზებს: წვერას, კალმასს, ტაველას და შავურტას. სხვათა შორის ისიც უნდა აღვნიშნათ რომ აჭურთ ოთხთაღვე უსხადი ძრავად განებურებული არაან, რადგან მათ აღვირ-წახსნილობას წინ არაფერ არ ედგობა; თუმცა კი არა ერთხელ შეუტანიათ აჭურთ ბოჭკოებს განცუდარაში სწავიარა მათზე—ესაბუთს ვაჭრობაში განკურნებენ რაფიან არ უჩნდება. ესაბუთ იგივე — ადგილ-მამულის ბატონობა და თუ თავის ნებაზე არ ვაჭრებენ, ამ შემთხვევაში ხორცს სულ არ ეტყვიან. ასე და ამ გვარათ, მოსამსახურე ბირი იძულებულია ეასაბინ „სინადას“ და დემონჩილოს. სოფ. იაკობლას მთებში ფრანგულებს კომპანიათა ატენს ბ-ნ სტრადოვსკის ამოუწინა რეინის მადანი და დიდ იმედსაც იძლევა. ხუთთაღვე ვერტის მანძილზე იმავე ატენის მუცადიებით გამოწამების მთებში აღმოჩნდათ ჭეის ნახშირის მადანი, რომელიც თვისებით კიდევაც სწავიარებს ჭათურის ნახშირს. ამ რამდენიმე დღის წინათ მე გასდელი, სოფ. იაკობლას და მთაში გაუგებელი გვირგვინი ბ-ნი სტრადოვსკის და-ხმარებით დაფთავდა იქვე. 70—80 სავტე კვლეზე გვირგვინი გაუგებანათ და ვაგანტეკებით გამოაჭეტ მადანი. მხოლოდ, საბუდელოდ, ამ მადნის მთებს ცალ-ცალკე დაჭატრონებიან რამდენიმე მდიდრები და მათ საერთოდ იძლიან სქმის მართვის ძრავად აფერხებენ. ფრანგულების კომპანია მუცადიანობის მათ შეერთების და თუ ეს მოხერხდა მათ სავდურზე მადნის საბუთო ჭარხის გამოთავა აუღლებელია სავტრო იქნება. განსაკუთრებით ჩემი ურადლებს მიამბურთ გვირგვინში მომუშავე მუშებმა. მათი მდგომარეობა ნება-უნებელი ჩამაფრებებს ადამიანს. ერთმა მათგანმა ჩემ კითხვაზე მითხრო: „გატროლდა მუშობა მადნის აქ წავლენას... ჩვენი საბუთო ფასი არ აღმატება ექვს—რვა აბახს. უოველ წუთს განსავდელში ვართ: არ ვიცით როდის ჩამოიანტრევა გვირგვინი და ცოცხლად დაგეშარხავს... დღეში რამდენიმე სანტევი ეუშინებოდა უნდა აფთეოთ და მათმა კავლენითელმა ჭარხმა ჭამის სიციხლეს გამოგვასდამოსა“... ფრანგულების კომპანია ჭურ ჭარხობით ვერ ჭედავს საბუთო ფულის მომატებას, რადგან მადნის აღმოჩენა ჭურ არ დამაფრებულა. მუშების სიტყვით ბ-ნი სტრადოვსკი ძრავად მუცადიანობის მათი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, რისთვისაც მადლობის დირსია ეს ბატონებულად ბირი. მუშების უმრავლესობას შეადგენენ—სომხები, ბერძენები და აჭა-ი რუსები. ჭარხებულებს კი ჭურ ჭარხობით ვერ ნახავთ მადნებში მომუშავეთ. მხოლოდ სხლებში შეხვდებით მოსამსახურეებთ გურულ-მკერდელთ. აჭურ ინტელიგენტთა სიციხრის მიუხედავად ადგილობრივ ფოსტის კონტორაში, სხვა-და-სხვა ბირების სხელაობაზე მოდის 25 ურნალ-ვახუთები. მათ შორის—სომხურს ორი და ჭარხული-კი ერთი (გვადლი) სომხთხელის დაარსებაზე აჭა-იქ ისმის აღმარება.

სოფ. ჭათურას. რა ვურის და მიამართულებს ხლხი გინდათ რომ დღეს აქ არ ნახით: მდიდარი, ღარიბი, მუცადი, კლახავი, მუშა, ოსტატი, ბატონისნი, ვახავი, სქმის კაცი, მუქთა ხორა, ინტელიგენტი, ჭამი-აბა და სხვ. დანს, ამით ამყოფის დღეს ჭათურას, ისე როგორც ჭათურას, მარა შეგვიდოს კი ჩვენს ვაძაყთ მსთან როგორც ადამიანი? სმწუხრობთ არა. მე, ურადლო მუშა, ვგრძნობ ამას და მერაღობს ის ეინც უფრო შეტებულად თვალთ უურებს ამ სმწუხრობა გარემოებას.

ჯოჯოხეთის ერთი მუცუხალი აკლდა და ისიც მიუმატეს, ჭათურას ათას ვერ ხსნიფთოთ გარემოებასაც მიუმატა კიდევ ერთი კისერ სავტენი; ეს ვადავთ ჭათურის მუა ხილი, ამ ხილზე ანერეულებს ფიფინი და არაფერ უურადლებს არ აქვეს, რომ ან სულ გააუქმონ ზედ მსულელობას და ან შეაკონ. არის ისე მინებულად, ეინც მადლიანია—გვა ამ ბუგვის ხილზე და ვინც ცოცხლია ვაი მისი ბრალი, ზოგა ხელს იტებს, ზოგა ფებს და ზოგი ორივეს ერთათ. კიდევ კარგი რომ სავდებდნას წვალი მდილი, იქ არ არის ჭურ ფიფინი ანერეული, თვარა უნებ გადავარდნილი კაცი წვალს თავს ევდარ დაღწევდა და სულ დაიდებოდა.

ისე შეაკვირეთ უფრო უბედურ შემთხვევებს, რომ ჩვენთვის თითქო უურადლებს დირსია არც ვაი არის: კაცი მოაქვს, კაცი დაჭერს, ვიდაცას მადნებში გვირგვინი ჩამოხერხება და შიგ მუშა მოხეობის, ცოცხლად დამარხულა, ვიდაცა მთვრალი მადნებში წასულა, კვლეზე კადანხილა და მომკვდრა, ვიდაცას ჭეა დაქვიდა და სხვა ათასი უსიამოვნო ამბავი კესმის, თუ უოველ საათში არა უოველ დღე მანც, და აჩვევთ უფრო. კაცი ჯოჯოხეთსაც შეეჩვევათ ნათქვამია, სწორეთ ეს ითქმის ჭათურელაზე.

ჩუ თუ ჭათურას არ შეუდის იმდენი, რომ უმთავრესი ჭეუბი მანც განათოს. ვთქვით ხილის გაკეთებას დიდი ხარჯი უნდა, მარა ხილის თავებში რომ ფარები დავდგათ ამას რომ შევიდებოთ? ესეც არ იუოს სულ გაუქმებაც ხომ შეიძლება? ხილი კიდევ არის მეთრე ალაგას და თუმცა უმრავლესობას შორიდან მოხუცდება მოვლა, მარა ნათქვამია: შორი ცხა მთიარე მინ მშვიდობით მიდის.

აქ არსებობს შავი ჭეის ნახევარ კახიკიანი ვადასხალი, რომელიც უნდა მიახმროს აჭურ საჭირო საცუნებს მც. ცხების შეგებებას, ხილების, ჭეუბის, უფასო საფთხოფთის და სხვა ასეთებს. ეველამ ვიცით რამდენი დგება წელიერთ ეს თანხა და რამდენათ სარულეს თავის დანიშნულებას... კარგი იქნებოდა ვისიც ჭურ არს შემო-სავად-გასავადის ანგარიში ერთხელ მანც გაეცნოთ მკითხველ საზოგადოებისათვის გაკეთის საშუალებით, რომ თავიდან აქედანთ სხვა-და-სხვა ხმები...

შავიკების მუშა.

ინგლის-ტრანსკაპის რაიონი.

ინგლისის მხედრობა თანდათან წინ მიიწევა და ბურებს დეუნის შთა ზოხიციებდნენ. გასულ კვირას მთელი მოძრაობა ქ. ვებერნის განთავისუფლებისაკენ იყო მიმართული. მაგრამ სანამ ვებერნთან მივიდოდა ინგლისის ჯარი, მანამდის კიდევ ბურები შეტაკება უნდა გადაესხა და მით მისაფალი გზები ბურებისკენ დაეცადა. 8 აპრილის დეპეშა იუწყება: მერვე და მეცხრე დივიზია დღეს დეველსტონთან დაბასკდა და მთელ დღეს ბურების ჯარს ებრძოდა. ინგლისელებმა მტერთა ორი ზარბაზნი დააზიანეს. ბურების ზოხიცივა ძლიერათ. ომი კატეძელად მერვე დღესაც. ინგლისელების ზარალი მინდრა. რობერტის დეპეშით იუწყება ბლუმფონტენიდან 9 აპრილს: „8 აპრილს ჯარი რენდლიას, რომელიც მერვე დივიზიას უფროსობდა, დეველსტონიდან სამხრეთ-დასავლეთით 5 მილის სანაპირზე მტერს შეხვდა. მტერმა ძლიერი ზოხიცივა დაჰიარა, რომელიც ქაღაქს ზედ დაჰყურებდა. ჩვენმა ჯარებმა სხვა ზოხიცივა დაჰიარეს, რის გამოც რენდლიმ შეძლო მტრის განდევნა და მათი ზოხიციების დაჰკრა. ის დღეს დილით ხელ-ახლა შეებრძოლა მტერს. 8 აპრილს ჩვენი ჯარიდან მძიმე დაიჭრა ორი კაცი, ერთი აფიცერი და 7 ჯარის-კაცი მსუბუქათ.“ — ინგლისის ჯარის ერთ ნაწილს ზეარტკლონტენთან ორი-ათასი ბური თავს დასხმია. ფაქრობენ ინგლისელებს დიდი ზარალი მოუყვლიათ. — 10 აპრილს დეპეშა იუწყება: ინგლისის ჯარის რაზმი, რომელიც ალივალბორტიდან ვებერნისაკენ მიდიოდა მტერმა განადგურა. — 12 აპრილის დეპეშა იუწყება: ინგლისელებმა დაჰიარეს წყლის მილი, რომელიც ეს რამდენი ხანა ბურებს ეკრათ. მერვე და მესამე დღეს ბურები განაძეგეს ახლო-მახლო სერებიდან. — 12 აპრილის დეპეშა იუწყება, რომ დეველსდონი დაუბრკოლებლივ დაიჭრა ინგლისის სარდალმა ჩემსაიდმა. 13 აპრილს რობერტის იწყება: „გუშინ სდაზმოს ღენურალი ზოლკერის დივიზია დაუზიანებლათ მივიდა როლსკოპში. დივიზიას მოძრაობის დროს იცადა ცხენოსანთა ჯარი და არტილერია, რომელთაც დიდი ზარალით უკუ აქციეს მტერი. რადგან ამ ვაშთ დესტორნი დაჰკრებოდა, უმჯობელი ვებერნის გარეშე ბურები დიდ წინააღმდეგობას ვერ გავიწვიენ. დეველსტონის დასაზურობ ბრძოლაში მოგვიდგეს ერთი აფიცერი, ხოლო 22 ჯარის-კაცი და ერთი აფიცერი დაეკვრეს.“ — ამხარათ, ინგლისის მხედრობა უმეტესთ მიიწევა წინ, ვებერნისაკენ, რომელიც ბლუმფონტენის ადმოსკლეთით შედგარეობს. ჩრდილოეთის მხრივ და ლედისმიტის ახლო-მისლო ჟერ-ჟერობით მშვიდობიანობაა. ღონდაინდან იუწყებიან 12 აპრილს: თევიდალური ცნობებიდან ჩანს, რომ ვებერნთან 91 — 8 აპრილს ინგლისელებისთვის მოჰყვავით 3 აფიცერი და 18 ჯარის-კაცი, დაუჭრათ 14 აფიცერი და 66 ჯარის-

კაცი. — ბურებთან ზარბაზნების ჩამოსახმამ განაპირობა სხვათა ევროპის სპეციალისტებს. ერთი აქ ჩამოსხმული ზარბაზნი უკვე კატინათ ბრძოლის ველზე.



სიმღერა ასოთ-ამწყობისა.

ვერ სულ ვაწურობთ ერთმანეთზე ზაწაწინა ლითონ-რეიანს, ზოგი აქეთ, ზოგი იქით,

ზოგი კიდევ განაზარს. ახრეთ, რეცხე დადე, გააკეთე რეიანი ბადე, გან-თან პანი, გან-თან დონი და ერთმანეთს შეუფარდე. ასე ვაწურობთ ერთმანეთზე ზაწაწინა ლითონ-რეიანს, ზოგი აქეთ, ზოგი იქით, ზოგსაც კიდევ განაზარს. ვერაფერი ხელობაა, კუქს ვერ აძლავს ეს ტაღი, მაგრამ რას იქ, სჯა არ სჯობს, მანაც ვამბობთ „ადა-ბალი“ აა, ბიჭო, დატრიალდე, გაატრე ხელი მარდათ, გავათავით ეს გახუთი, აგვიდაა სუქი ნარდათ! შუალამე ვადავდა დატრიალდი მტრმანავე, ატრიალე რეიანს რგოლი ბიჭო, შელაგი გააკეთე. მივედრის სუდარას სანე გვიკავს, თვალები კი გამჭრალ სანთელს, ლომიც იყო ვერ ატრან ფეხზე დგომას, ძირო, ამდენს! სურსემული გამიშეშა, მუხლები მთლათ მიკანკალებს, თითები სულ დამიწუნდა, ვეღარ ვშედი და ვერც ეხრი შელაგებს! ექ: რა ვუფთო, „მოწინავე“ დღეს გახუთში კარგი არი, „სიმართლე“ და „დამაშურალი“ ცხელ-ცხელები სულ აქ არი! რს გეოჩიანთ, ორიოდავ ჩვენც რამ ვიცით აჭა-იჭა, თან ვაწურობთ და თან ვითხულობთ



აგერ აზრად გაიხინჯა!  
 დავიკვებებ, ჩემშიად არა  
 ზოტერი და კრატეოსი,  
 ვიქტორი — ჭიუგით დასვით,  
 და ანდრო კი არის რისი!  
 ასე ვაწყოთი ერთმანეთზე  
 ზაწაწინა ღითინ-რისის,  
 ზოგო აქეთ, ზოგო აქეთ  
 ზოგო კიდევ განაზარს.

ი. ველიშვილი

### მსოფლიო გამოფენა ბარიეში.

(ერთი თვალის გადავლებით).

ზარიეის თითქმის შუა გულ ადგილას, რამდენისამე დლიურის სივრცეზე ამართულია უზარმაზარი და ძვირფასი სასახლეები, პავილიონები (პატარა სასახლეები), უშველემელი დარბაზები, ლამაზი და მასთან უცნაური სანახაობის შენობები—ეს რაღაც არაჩვეულბერივი ქალაქია. ერთ თავათ შუშის სახურაეები, მოვარაყებული თაღები, გუმბათები, კოშკები, კოლონები (სვეტები), ბურჯები, ურიცხევი, სხვა და-სხვა ფორმისა და იდეის, ქანდაკებანი; ნამდვილ გვეგამზე გაშენებული ხეივნები, ბაღები დიდდრონი ხეებით, სათლთი მცენარეებით და საუცხოვო ყვავილებით შემკული; აქა-იქ მწვანეთ მოზიბინე ბორცვები და კორუმები; აგერ საამუროთ სცემენ შადრეენები. ეს მდიდარი და ტურფა კუთხე კიდევ უფრო ტურფა და დიდია თავისი შინაარსით; კიდევ უფრო შესანიშნავია ის, რაც მოთავსებულია ზემოხსენებულ შენობებში. აქ ჰხედავთ აველიფერს, რაც კი განათლებულ კაცობრიობას დღემდის გაუკეთებია; აქ წარმოადგენილია აღმამის მოქმედების ყოველი დარგი, როგორც ტენის და ნერვების, ისე ხელის ნაღაწი: მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა, მეურნეობა, მწვერობა, ერთი სიტყვით ჩვენ თვალ წინ 1900 წ. მსოფლიო გამოფენაა. ამ გამოფენით თანამედროვე კაცობრიობა დაგებება მეოცე საუკუნეს და ვუწინება: ი, მე ეინა ვარ, გამოცანი და ჩემი ვინაობის საკადრისი მერმისი მომანიჭეო! უნდა ვიფიქროთ, რომ მეოცე საუკუნე დღევანდელი საზოგადოების სიდიადესთან ერთათ არ დაიფიწყებს მის სიმდაბლესაც, მის სიტყუფე სილამაზესთან გაიხსენებს მის სიმაზინჯესაც, ნათევ მხარეებთან ერთათ შენიშნავს მის პნელ მხარეებსაც; უნდა ვიფიქროთ, რადგან საუკუნობის ხელშია სამართლიანობა—უსამართლოეების თვით საქმედური—და რაკი ისტორია ჰკლავს,

რაც სისიკედლოა და სიცოცხლეს უშინდნის მარტო სასიცოცხლოს, მეოცე საუკუნეც—ერთგული მესაიდუმლე ისტორიისა—შეუბრალოელათ გასარტის სასიკედლოს, დათრგუნავს სიბნელეს და ჩვენ საზოგადოებას აიყვანს საწეტარო სიმაღლემდის... მარა დავებურუნდეთ გამოფენას.

ამ წერილში ჩვენ მხოლოთ ვაკერით გადავხედავთ გამოფენას.

გავსწიოთ უმათავრეს შესავალ კარებისაკენ, რომელსაც ეწოლება „მონუმენტალური ბექ“? სივრცე, რომელზედაც მოგვიხდება სეირნობა, ე. ი. გამოფენის საერთო ზედაგი 108 ჰექტარია ანუ 1 მილიონ 80 ათასი ოთხკუთხი მეტრი \*); აქედან 460 ათასი მეტრა \*\*) შენობებს ქვეშ.

„მონუმენტალური ბექ“ იმყოფება მდ. სენის ნაპირის, თანხრობის მოედანზეა. თით ეს მოედანი, მოწამე დიდი რევილიუციის და შრავალ სხვა ტრადიკულ ისტორიულ მომენტების, თვალს იტაცებს თავისი სანახაობით. შუაში ამართულია ობელისკი, რომელიც თავისი იეროგლიფებით მოგვიბრუნებს ძველ გვიგბატის ცხოვრებას; დიდრონი ქანდაკებანი, დაშენებულნი მრავალი შადრეენებით, წარმოადგენენ საფრანკეთის სხვადასხვა ქალაქების სიმბოლოს; ერთ მხარეზე გადაჭიმულია ცნობილი „ელისეის მინდერები“ ანუ უკეთ ხეივნები, რომლის ბოლოს მოჩანს „ტრიუმფალური არკა“; მეორე მხარეზე შევნიერთ ტიულერიის სახალხო ბაღი, სადაც ძველათ მხოლოთ გვირგვინოსანნი დასეირნობდენ; წინ, მდინარის გაღმა მრავალი სვეტებიანი დიდი შენობაა თავისი სხელი ასობიანი წარჭერით: თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა (ეს პარლამენტია ხალხის წარმომადგენელთა, კანონმდებელთა სებქო). აი ვით „მონუმენტალური ბექ“ მოხდენილათ ამართულია თქვენ თავი წინ. იმის ორივე მხარეზე მდებარე „მაიაკები“ ელექტრონული ფარნებით გამოცობენ, რომ სწორეთ აქ უნდა იყოს „ნათესადური“, მიზანი თქვენი დღევანდელი მოგზაურობისა. ბექს“ მწვერვალზე, მწ მეტრის სიმაღლეზე, შედგარა პარიეელი ქალი, უკანასკნელ მოდაზე გამოწყობილი, პარიეელი სიკეკლუციოთ და მედიღრობოთ იწვევს გამოფენაზე ქვეყნის ყველა კუთხიდან მოსულ სტუმრებს. ამ ქანდაკების ფეხით, ქალაქ პარიეის გემის სხვირზე შემგდარი მამალი ყვიის მოახლოებულთ გამარჯვებას.

\*) ეს 6 ჯერ აღმატება პარიის პირველ (1855 წ.) მსოფლიო გამოფენის ზედაც. ხოლო 1889 წ. 120,000 ოთხ მეტრით.

\*\*) 89 წ. გამოფენის ზედაც აღმატება 170,000 ო. მეტრით.

ბჭე შემდგარი სამი „არკისაგან“. ამითი საერთო თაღი, ქვემოდან მოქარგული ნახატებით, ზვიდან გადახურული მოვარაყებული გუმბათით. წინა „არკის“ კუთხეზე გამოქანდაკებულია ორი სხვა-და-სხვა სურათი. პირველი წარმოადგენს ყველა პროფესიის მუშებს, რომლის ხელებით და ქუა-გონებით შექმნილია მსოფლიო გამოფენა; მეორე — ლომებსა და სხვა-და-სხვა ცხოველებს. „არკის“ აქეთ-იქითა მხარეზე გაკეთებულ ფანტაზიულ სცენებზე „მარდვენები“. ორივე ფანტანში, ელექტრო-მაგნიტზე დგას უცნაური ქანდაკება. მათი სამოსელი მოქსოვილია წეროლ, ფერადი შუშებისაგან; თავზე ხურავთ დიადება (მეფეთი ქული). ორივე გვიხატვენ თანამედროვე მიმწვლეობის უზენაეს ძალას-ელექტრონს. წინა „არკა“ შეადგენს ოფიციალურ შემოსავალ კარს. გვერდის „არკები“ დაყოფილია მრავალი პატარა-პატარა კარებით, საიდანაც ერთ საათში შეიძლება შევიდეს 42 ათასამდე ადამიანი. ბჭეს თაღის ქვეშ კი თავსდება დაახლოებით ორი ათასი სული.


მონუმენტალური ბჭე დღისით ელავს და ბრჭყილბებს მზის სხივებზე, დამით განათებულია 3 ათასზე მეტი ელექტრონის სხვა-და-სხვა ფერ პატარა ლამპრებით, თვალთმაქცურათი თებება და პრიალბებს.

„მონუმენტალური ბჭე“ ხეივნებათა და ალღეიებათ გადის საუცხოო ბაღში, რომელაიც მიჰყავნართ ორ შესანიშნავ შერობისაქენ. ერთს ეწოდება პატარა, მეორეს დიდი სასახლე. პატარა სასახლე არც ისეთი პატარაა, როგორც შეიძლება იფიქროთ. მას უჭირავს 7000 ოთხ. მეტრი ზეიდაგი. გარეგნობით ეს შენობა იმდენათ ლაპაზია, რომ არა ერთსა და ორ წუთს შეჩერდებით მის წინ სიამოვნებით. უცქერით ამ სასახლის კოლონადას — ჩამწყრივებულ სეტებს, ქანდაკებათ, ფრონტონებს, გუმბათებს, მდიდარ შესავალ კარებს და ბუნიანათ ეკითხებით თქვენ თავს: ნუ თუ თავისუფლათ შემიძლია შესვლა ამ მდიდარ სასახლეში, ნუ თუ პოლიციელი არ წამაღლებს კისერში ხელსო? მარა ხედავთ, რომ დღდი და პატარა ყველა ერთგვარი სითამამით შედის და თქვენც გულდათ და გარკვევებულ ცნობის მოყვარეობით შედისართ, თქვენც სახალხო ტაძარში ხართ. აქ შეგიძლიათ თვალითა ნახათ და ხელით შეეხათ მას, რაც თავის და თავათ უხილათა და ხელ-შეუხებელი. აქ ურიცხვ საგნებსა და ნივთებში განხორციელებულია ადამიანის სულიერი განვითარება. ჰხედათ როგორი იყო, როგორ იცლებოდა და როგორ ვითარდებოდა საუკუნოების განმავლობაში ადამიანის გრძნობა-გონების აღმავრენა, სულის კეთება, მისწრაფება-ლტოლვილებანი. აი უშველებელი ვალღერეთა საცეს ურცხვი

მარმარილოს, ქვის, გიპსის თუ ბრინჯაოს ქანდაკებებით; ავთ რამდენიმე დარბაზი გახსენებული მრავალი ტილოზე თუ ქალაღზე ნახატ სურათებით. აქ უსულო საგნებს სული ჩაუღვამთ, მკედარ და უძრავ ნივთებში ცოცხალი ადამიანი მოთავსებულა; ის გელაპარაკება თავის ვინაობაზე, გახედებს გულის სიღრმეში, გაიწვენებს უნაზეს სულის მოძრაობას. შემდგ დარბაზებში ჰხედათ უწინდელ ადამიანის სანადირთ თუ სამამარ, სამუშაო თუ საოჯახო იარაღებსა და ნივთებს (შუბები, ისრები, ცულები, ჭურჭელი და სხ.). შემდეგ იწყება ბრინჯაოს, სპილენძის ნივთები, ქსოვილები, სახლის სხვა-და-სხვა გეარი მოსართავები; ოქრო-ფერცხლის, ძვირფასი ქვების, ბროლის, შუშის ნივთებობა; მედალიონები; სხვა-და-სხვა კლასიკური ნაწარმოებნი აღორძინების ეპოქიდან. აი კიდევ უშველებელი ვალღერეთა, საღაც გამოფენილია ზეზე გამოქანდაკებული სკულპტურა, სხვა-და-სხვა ფერმისა და სტილის აუჯგულებობა (საშუალო საუკუნოებიდან ეთარ ლიუდოვიკო მე-XVI-ტეს დრომდის.) ერთი სიტყვით, „პატარა სასახლეში“ წარმოდგენილია საფრანგეთის ხელოვნება უძველეს დროიდან 1900 წლამდის. ამის დათვალოერებას შემდეგ, თავის-თავათ იზადება კითხვა: რა იყო ხელოვნება მე-XIX საუკუნის განმავლობაში? რა იყო ხელოვნებ იძლევა პასუხს „დიდი სასახლე“, რომელიც იყოფება „პატარის“ პარდაბირ. გადაქიშული 40 ათას ოთხ. მეტრის სიერცხეზე, იგი თავის გარეგნობით კიდევ უფრო ლამაზია და მდიდარი ანახაობის, ვინემ „პატარა სასახლე“. იგი ძვირფასი ნიშუშია საფრანგეთის კლასიკური და თანამედროვე არხიტექტურისა. კოლონებს შორის ჩართულ მრავალ ქანდაკებათა შორის, რომელნიც დიდებულათ ამკობენ სასახლის, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცეეს ორი ჯგუფი. პირველი წარმოადგენს ეგვიპტის, საბერძნეთის, რომისა და ბიზანტიის ხელოვნებას; მეორე სიმპოლოა სკულპტურის, მხატვრობის, არხიტექტურის და გრაფიურის. როგორც ეთქვით, ეს სასახლე შეიკავს მე-XIX-ტე საუკუნის ხელოვნების (მხატვრობა, სკულპტურა) შესანიშნავ ნიმუშებს. (ამევე სასახლეში იქნება ადგილი სამიწათ-მოქმედო და ცხენების კონკურსს). ორივე სასახლე — რომელიც დამჯდარია 25 მილიონამდის — გამოფენას შემდეგ გადაეცემა ქ. პარიეს და დარჩება ხელოვნების სამუდამო მუზეუმათ.

(შემდეგი იქნება)

ლ. დ.



### ემბრალთა ეროვნული მოძრაობა

(„სიონიზმი“)

„ნასათ იერუსალიმში!“

(გბრ. პასეის სივალბ.)

(დასასრული)\*

თუ მივიღებთ მხედველობაში ყოველივე ზემო ნათქვამს, ჩვენ მივალთ იმ დასკვნამდის, რომ სიონიზმი უფრო იდეოლოგიური მოძრაობაა, ვინემ ეროვნული. ამ მოძრაობაში ინტელიგენცია — ყველფერია, ხოლო თვით ებრაელთა ფრა — არაფერი; ინტელიგენცია მოქმედობს, ერთ კი თანაუგრძობს პასიურათ. ეს მოსაზრება მით უფრო უახლოვდება სიმართლეს, რაც უფრო დაწვრილებით ვეცნობით სიონისტთა მოძრაობას.

ებრაელთა ინტელიგენციის პროპაგანდა ეროვნულ ნიადაგზე აიხსნება იმ მოძრაობით, რომელმაც იჩინა თავა აქა-იქ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოებში და რომელიც ცნობილია „ანტისემიტისმი“ სახელით. ამას გვიმოწმებენ სიონისტთა მოთავენი დოქტორი ჰერცლი და ცნობილი მეცნიერი მაქს ნორდაუ. ორავი ისინი აღიზარდენ სრულიად ევროპულია; მათი მშობლები მხოლოდ შთამომავლობით იყვენ ებრაელი და თავის მომშობთან ყოველივე კავშირი გაწყვეტილი ჰქონდათ. ჰერცლი და ნორდაუ თავის თავს თვლიდენ 1896 წლამდის გერმანულ ნაციონალიზტებთან, პირველი ავსტრიაში, მეორე კი გერმანიაში. ებრაელთა დევნამ გაიღვივებინა, ალერში და სხ. და დრეიფუსის პროცესმა საფრანგეთში დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს მათზე, ისინი მოულოდნელათ ებრაელთა ნაციონალიზტებთან იქცევიან. ჰერცლი და ნორდაუ თითოთ საწმენებელ გმირებთან ვაიქენებ ებრაელების თვალში. ეს არც გასაკვირველია. მათ ამ ცრტა ხანში ისეთი ენერჯია გამოიჩინეს, რომ სწორათ ღირსნი არიან ჩარიცხულიყვენ ებრაელთა საუკეთესო მამულიშვილებთან. მართათ ამ ორ პირს, განსაკუთრებით ჰერცლს, უნდა მივყვაროს პირველი მსოფლიო კონგრესის გამართვა 1897 წ. კონგრესები მას აქვთ კიდევ ორი მოხდა — შარშან და შარშან წინ. აქვე აღვნიშნავთ, რომ შარშანდელ კონგრესზე გამოცხადდენ სხვათა შორის კავკასიელ-ებრაელების დელეგატები. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ებრაელთა კონგრესებზე დელეგატთა რიცხვი 300 მალა აღემატებოდა და თითქმის ყველა ისინი სიონალ-განათლებულნი იყვენ: მათ შორის ნახავდით არა ერთ პროფესორს, დოქტორს და სხ.

\* იხ. „კვლი“ № 15.

ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ, რომ სიონისტების მიზანია დააარსონ პალესტინაში ებრაელთა სახელმწიფო. ახლა გავიცნოთ, თუ რა საშუალებებს მიმართვენ ისინი ამ მიზნის მისაღწევათ. პირველი და უმთავრესი საშუალება მათი აზრით მდგომარეობს ნივთიერი ძალის შექმნაში. ამიტომ ისინი აარსებენ „ებრაელთა ეროვნულ ბანკს“. ეს ბანკი იმითი წაავლავს სხვა ბანკებს, რომ მათსავით კომერციულ ნიადაგზედაა დაფუძნებული, ხოლო მისი დანიშნულებაა ცრტა არ იყოს იდეალისტური ხასიათისა. ბანკის მონაწილენი, ე. ი. აქციონერები არიან ებრაელნი, რომელნიც გაფანტული არიან დედა მიწის ყოველ კუთხეებში. თვითოეული აქცია ღირს ერთ გირვანქა სტერლინგათ, ე. ი. 9 მან. 50 კ. მათი რიცხვი უნდა უდრიდეს ორ მილიონს. ბანკი უნდა ემსახურებოდეს სამუდამოთ მართათ-მართო ებრაელთა ცრტა-რულ ალორმინებას. რომ ეს ერთათ-ერთთ დანიშნულება ბანკისა არ იქნეს შერყეული, ამისთვის სიონისტები მიმართვენ შემდეგ საშუალებას: ზემოხსენებულ ორ-მილიონ აქციონერებს შორის იქნება მხოლოდ ასი დამფუძნებელი; ამ უკანასკნელთ ეძლევათ იგივე ხმა და აქედან უფლებას, რაც დანარჩენ 1999,900-ს. ბანკის გამგებთა შედგება მხოლოდ დამფუძნებელთაგან. ამას გარდა დამფუძნებელთ არ ურიგდებათ ბანკის ოპერაციებიდან დარჩენილი დივიდენდი. დამფუძნებელთ ირჩევს კონგრესი, ამ უკანასკნელს ეძლევა უფლება დაითხოვოს არა სასურველი დამფუძნებელი და მის მაგიერ სხვა აირჩიოს. როგორც ხედავთ, ბანკი უმთავრესი ზედამხედველი კონგრესია, რომელიც იკრიბება ყოველ-წლივ ევროპის ერთ-ერთ ქალაქში. ბანკი ასრულებს ყოველ-გვარ ოპერაციებს. სიონისტთა წარმომადგენელნი უნდა შეეცადონ მოიპოვონ სათათრეთის ხონთქარისაგან ხარტია, რომლის ძალით ებრაელებს ეძლევათ პალესტინაში გადასახლების ნება.<sup>1)</sup> როდესაც ასეთი ხარტია მოპოვებულ იქნება, ბანკის მოგება, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც ურიგდება დივიდენდათ 1999,900 აქციონერს, უნდა მოხმარდეს პალესტინაში მიწების შეყიდვას და ღარიბ ებრაელთა მუქათთ დასახლებას იმ ადგილებში. ბანკმა უკვე ამ წლიდან დაიწყო თავის მოქმედება ინგლისში, აქციონერების რიცხვი დღეს-დღეობით 100,000 ებრაელს აღემატება.

თავის მიზნის მისაღწევათ სიონისტები არა ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ებრაელთა გო-

<sup>1)</sup> მივაქვეთ მითხველის ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ებრაელთ აგრძალული აქვთ ხონთქარისაგან პალესტინაში გადასახლება.



ნებრივ-ზნეობრივ აღორძინებას. „ჩვენი პირველი დანიშნულება—თქვა ნორდამ ებრაელთა პირველ კონგრესზე—მდგომარეობს იმაში, რომ ავადღეინოთ ეროვნული თვით-ცნობიერება. ებრაელს არამც თუ არ უნდა რტყვენადეს თავის ეროვნებისა, არამედ თავიც კი უნდა მოწონდეს ამით. უნდა ვეცადოთ გაავარცხლოთ ხალხში ცნობები ებრაელ ერის დიდებული წარსულიდან“. წრევანდელ კონგრესს გამოეყო კომიტეტი, რომლის მოვალეობას შეადგენს გამართოს პროპაგანდა დედამიწის ყოველ კუთხეში „ეროვნულ თვით-ცნობიერების“ აღსადგენათ ებრაელთა ერში.“ პროპაგანდა უნდა ხდებოდეს პრესით, ბროშურებით, ფურცლებით, ავტიკულირ კრებებით, საჯარო ლექციებით და სხ. ამას გარდა კომიტეტი უნდა ეცადოს დაარსოს ფერეინები, ე. ი. ურთიერთ შორის სწობაზე დამყარებული ებრაელთა წრეები, ეს წრეები ხელს უწყობენ კომიტეტის ამა თუ იმ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას.

დაარსდა კიდევ ერთი კომიტეტი, რომლის დანიშნულებას შეადგენს ებრაელთა შეილებების ეროვნულ ნიადაგზე აღზრდა. კომიტეტის წევრებმა უნდა მიიღონ ყოველი ზომები, რომ ებრაელთა სკოლებში შემოღებულ იქმნას ძველი ებრაელური ენის შესწავლა.<sup>2)</sup> უნდა შეადგინონ სრული ებრაელური ლექსიკონი, უნდა გადათარგმნონ ევროპიულ ენებიდან საუკეთესო სახელმძღვანელონი. ამას გარდა ისინი უნდა შეეცადონ ბავშვების ფიზიკურათ განვითარებას და მრავალ სხეს.


ეროვნულ იდეების გავრცელებაში კონგრესების აზრით ებრაელთა ქალებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ. კონგრესებზე ქალებს თვალ-საჩინო ალაგი ექირათ. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ებრაელთა ქალებს კონგრესმა მიანიჭა სრული თანასწორობა მამა-კაცებთან ერთათ: „სახოგადოთ ქალს და განსაკუთრებით ებრაელ-ქალს უნდა მიენიჭოს თანასწორობა, რადგანაც მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ებრაელთა ერის წინაშე“.

ბოლოს არ შეგვიძლია უყურადღებოთ დავტოვოთ ერთი ფრიალ საინტერესო მხარე სიონისტთა მოძრაობაში. თუ გულ დასმით გადავიკითხავთ ებრაელთა კონგრესების ანგარიშებს, ჩვენ უსა თუოთ შევაძინებთ ერთ რეაქციონურ ტენდენციას, რომლის გამოხატუცველი არის დღევანდელი უმრავლესობა. ეს უმრავლესობა, როგორც ზევით დანახავდა მკითხველი, ეკუთვნის ებრაელთა ინტელიგენციას. მას ცოტათ თუ ბევრათ შეუენია, რომ

ებრაელთა დევნის მიზეზი მდგომარეობს იმ რეალობაში, რომელსაც ასრულებს იგი ეკონომიურ სარბილზე. ეს რალი გამოიხატება ვაჭრობა-მრეწველობაში. მკერმეტყველ ნორდამ ვარკვევით გამოთქვა ეს აზრი: „ევროპიელთა სიძულვილი ებრაელისადმი ამ უკანასკნელ წლებში მომდინარეობს არა სარწმუნოებრივი შეხედულებისაგან, არამედ ეკონომიურისაგან“. თუ ევროპელთ არ უყვართ ებრაელნი იმიტომ, რომ ისინი ვაჭრები არიან; არა ებრაელთა ინტელიგენციის ვიტანუვა ესენი. მათი იდეალი,—ებრაელთა ერის აღორძინება პალესტინაში, მხოლოთ მაშინ იქნება მიღწეული, როდესაც ებრაელნი გამოეკლდეებიან ვაჭრობას და ხელს მოაკიდებენ მეურნეობას. „იმ დღეს—თქვა სიონისტთა მოთავემ ჰერცლმა—როდესაც ებრაელი მოაკიდებს თავის ძლიერ ხელს გუთანს, ებრაელთა კითხვა უკვე გადაწყვეტილი იქნება!“<sup>3)</sup>

ქ. კოვე.

ა. ჩხენკელი



### გ მ ა - დ ა - ვ მ ა

წარეთ ქვის გული ჭქისებია ბ. ახალმოსულს. კაცს იმდენ ლიტერატურულ უმართულებას აზრადებდენ და ის კი თავზე ბოხსდენ არ იფრებდეს—ეს ამას მტეი არ მინახავს და იმედა არც მამაგაღმა ვნახავ. ბ. ახალმოსულს გამტყუებთ: ცდისწამებაში, ფაქტების გადამხინჯებაში და ციტატების უწყსოთ მოჭვესაში. ის კი, ვითომც—ჟედა ეს არაფერაო, სატყუას კიდევ პანზე აგდებს და სულ სხვა რადგანს მოჭეოდა. ეს სახელოვანი მოკამათე ადარც კი ცდლობს ეს ბრადლება ოდნავით მაინც შეიმსუჭუქოს და სინაიისიერა მოკამათას სახედა დაიჭმოს. არა, კე მისთვის სულ ერთი თოვლაო, ოდნე ეს ელანარკობი და რეკავთ და რასაინათ—ამს არ დავადეფს. და განს შეიძლება ასეთ მოკამათესთან კამათო? რასაუთო გუქებს, რომ ზგა და ზგე კიდევ უფრო უარესებს არ ჩაადგის და რადც სასწილებს თავზე არ მოგახვეს? შე ვიცი, შეუწუდება—ეს რა ჭქნათ მისი უკანასკნელი „პატარა საუბრა“ (№ 76) ამის შეურეველი საბუთია. ის აქ მხმსდენ არ იდებს ჩვენი უკანასკნელი „გა-

<sup>2)</sup> ჩვენი აზრით „ებრაელთა სახელმწიფოს“ დაარსება პალესტინაში—ეს მხოლოთ უნიადაგო ოცნება და მტერ არაფერი. ეროვნული სახელმწიფოს და საწოზლობის წარმოშობა და შექმნა არის ნაყოფი ხანგრძლივი ისტორიული განვითარების და არა უბრალო სურვილის და ხელთეწურათ შექმნილი. „სიონიზმი“—ეს იდეოლოგი-ინტელიგენტთა და გაკერბულ ებრაელთა გზიდან დროებითი გადახვევაა, მაგრამ რაც უფრო ადრე შეიგნებენ მიზეზს მათი და მასთან ერთათ უმრავლესობის გაკერბებისა, მით უფრო ადრე დაადგებიან ნამდვილ და უტყუარ გზას...

<sup>3)</sup> ძველი ენა, ე. ი. შიბლიური, განსხვავდება ებრაელთა ახალ ენისაგან, რომელსაც უწოდებენ „ყარგანს“. ყარგანზე ებრაელთ აქვთ მთელი ლიტერატურა.

წილილი კიდაციის მიხარო

საქონლის  
გადასაყვანი

ქანო რედაქტორი

და-გის“ ბრადღებუის შესახებ და იგუეუდებოი ფანა-ფუხით, ასე გიხან, ისე გიხანო, უკან-უკან მიიწევა, და მადგა ისევე თინასს“. სწეკლი „ფინანსის“ ეს სიტეკა რომ არ განიხილიეო ბ. ხალმოსულის „ხალმარავო მასლად“ ადარ და-ურნებოდ და ვერც ხსეულოვანი მოკამათის ხსეხლს დაამსახურებდა. ჩვენ უკანსხეუდ წერილობი ვწერდით, რომ ცოტა კიდევ დაფეუტადო ბ. ხალმოსულის ფეკერტონებს და ერთათ გავფეუტეოთ. (გა. 239, სეკტი 1), ეს მისი ასე დადგუეუტობა: „როთი ახსხეუბა ეს თქეუნი დემილი და სულის განახევა? რატომ არ ამოგეწერეთ, არ დაგვანახეუთ თქეუნიასევე (დემიბრი ტოლსტოის) მოწამის ჩეუეუბა“. აი ასე ახანახეუბს ფეკტებს ბ. ხალმოსული. ის ერთი ახრს ისე ვერ გამოთქეუბს, რომ ორი და სამი ტუეილი ზედ არ ეკიდოს და კასასადეუბათ ახანარზე არ გამოიტანოს“<sup>1)</sup>. ჩვენ ფინანსების შესახებ სხვათა შორის, დემიბრი ტოლსტოის წიანი დაფუსხეულობით. თუ არ გეწინდობდა, თუითინ უნდა ესხას ის წიენი და დარწმუნებუელიეო. მარა ბ. ხალმოსული რის დიდი-კაცია თუ ასეთ შე-შრომას ეკადრებს, არა, ის, როგორც უფროსს შეფეერის, გეპირძისებს: „ეკეუბა“ გადამბეჭდე ტოლსტოი და გამაცანიო. „ახირებუელი ბრეტენხაია“—რომ იტუეიან, ეს არის. გადამბეჭდე ტოლსტოი „ეკეუბა“ და მისინ არ დაეხანრება წიათისგა! კარგი, ვეფეტო გადამბეჭდე, თუ სხობადოთ არ გეუნდობა, მისინს ხომ არ გეუნდობა, და უეჭეუბათ მოგეითხვას: ის წიენი მინ მომიტეო და წამაითხვებო დახს, შხა-შხარეუელზე მანეეუელი დიდ-კაცობა დიტერატურასაც დიდ-კაცურათ უეურებს. არა, ბ. ხალმოსული, ცოტა გასარეუო და გადაფეურდელი იმ წიენის მე-10, მე-233, 254 და სხ. ბეგრდებო და ნახეთ იმას, რაც ასე გეხანებოთ. და თუ მანინ თუიანი არ დაგიშლიათ, მასინ ახარ და ვეგერენახე?—ან „ეკეუბა“ უნდა ვეგეტრელით და აწიენი სხხლში გამოეგეხანეთ ..

5. ჟორდანი.

1) ბ. ხალმოსულის ტუეილებს უკვე მოუპოვებია ბახარი. „ივერიის“ მე 71 ნომერში გამოსულა ერთი უცნობი და ამბობს: „სრულ სინამდვილეს აღიარებს“, ივერიის „ახალმოსული“ როცა ამბობს: ვრფრერის პრეტრამა ბათისი დრო მოიქამათ ეს გუგია ახალმოსულის და ძეგლმოსულის და ბ. ჟორდანიის რომ ვერ გავოთ თავის დროზე რა გასაკვიროა? მოგეხსენებათ თუ რა ძნელია ქართველ მწერლისათვის თვალყური ადგენის ვეროპის მწერლობის და ცხოვრების მიმდინარეობას“. და ამიტომ დასაბარბისი არ არის ჟორდანი, რომ „ასეთი ძველი ამბავი არ იცოდეს!“. ვაპოდის. რომ ბ. ხალმოსული ვეროპის ადგენებს თვალყურს და ჩვენ ეს ახა სიანი შეგვედგინოს ეს მე დეტი, კაი, ვეჭვით, ვიწამოთ, მარა ბოლო რომ გვაკვირებებს? და აი ეს ბოლოც: „ვერფრერის პროგრამა“ არის პროგრამა გერმანიის მეშუათა პარტიის 1891 წლიდან (ოქტომბერი). პარტიის კონგრესებზე მართალია იყო დავა ზოგი მე-

ულრემს მალობას ვეცხადებ ქანს მარინ იორანიშვილის, წითლისის ასულს, რომელმაც არ დაზოგა თავისი შრომა და თავის ნაწინობებს შორის. ბათუმში შეკრიბა 89 მან. და 50 კა. რწუენებულ ჩემდამი მიქელ-გავრიილის უფასო, ღარიბ წიენთ-საცავ-სამკითხველის სასარგებლოთ, რაც უკვე გადმოვიტეო:

- აი სია შემომწირველთა:
- ვარლო ბოლქევის ასულმა 2 მ.; მარინი კაკაბაძისა 2 მ.; ფეოსინა გივინიშვილმა 2 მ.; ანტონ იმნაძემ 2 მ.; მარინამ ხარბაძისმა 2 მ.; მარია დთებოტემ 1 მ.; ივანე შაფათაძემ 1 მ.; თამარა თავართქილძისმა 1 მ.; ვლადიმერ ვოლკოვა 1 მ.; ვასილ ჩიკაიშვილმა 1 მ.; ივანე ტუნიანი 1 მ.; ნიკო ტეხელოძემ 1 მ.; ევგენი დლიძემ 1 მ.; ზე 1 მ.; თამა კვაქენტიძემ 1 მ.; სილოვე მუჯერისმა 1 მ.; ვანო იმნაძემ 1 მ.; სპირიდო გურგენიძემ 1 მ.; ნიკოლოზ ვლონოვა 1 მ.; სერგო იმნაძემ 1 მ.; ჰელაგია ლომინძისმა 1 მ.; მასწავლებლებმა 1 მ.; იოსიფ კალაძემ 1 მ.; ივანე თავართქილძემ 1 მ.; ამბაკო ლლონძისმა 1 მ.; მარია გუგუშვილისმა 1 მ.; იაგორ ურუშაძემ 1 მ.; ივანე გარაყანიძემ 1 მ.; თედორე მაქსკარიამ 1 მ.; იული შარაშანიძემ 1 მ.; ივლიანე ლომინაძემ 1 მ.; ნიკო ჯაველმა 1 მ.; მღ. სიმონ თოთობაძემ 1 მ.; ანეტა დლიძისმა 1 მ.; ვლადიმერ ქიდიშვილმა 1 მ.; დომიდელ მამალაძემ 1 მ.; სერგო ჯაუციყაძემ 1 მ.; აბდულ დიასამიძემ 1 მ.; ყარაან ბერძენიშვილი 1 მ.; ლეონტი ბენიანი 1 მ.; ლასა საჩხავლაძემ 1 მ.; ლავრენტი ბოლქევიძემ 1 მ.; ნიკოლოზ ტურკიან 1 მ.; ალექსანდრე გიგაშვილმა 1 მ.; გრიგოლ ტახტაჯიანმა 1 მ.; გიორგი კუკილაძემ 1 მ.; ფატიო შავარინძისმა 1 მ.; დავით მესხიშვილმა 1 მ.; ვლადიმერ ქეთათელაძემ 1 მ.; ათანასე თოფურიაძემ 1 მ.; დომიდელ შილაკაძემ 1 მ.; გინატრე მეგრელიძემ 5 მ.; დემიბრი გუგაძემ 5 მ.; ლუკა ზორელიძემ 1 მ. 50 კ. ატარო კაკაბაძემ 1 მ. 50 კ.; ვასილ თაყაიშვილმა 60 კ.; ლეანე იმნაძემ 50 კ.; ვერხან გოგოტიძემ 1 მ. 40 კ.; სტე; ივანე კიკაძემ 50 კ.; ანტონ მუჯერისმა 50 კ.; ილარიონ სიხარულიძემ 50 კ.; პორფილე ჩიკაიშვილმა 50 კ.; ლიხა გოგორიშვილისმა 40 კ.; ივლიანე ტოკვი 40 კ.; ალექსი ოთხმეზურმა 40 კ.; მასიკო ასამბაძემ 40 კ.; მარინ მიქელაიშვილისმა 30 კ.; ილია გორდელიძემ 30 კ.; ვროსლე გუგახაძემ 30 კ.; ყარაან დათომიძემ 20 კ.; ვასილ სირაძემ 20 კ.; არტემ სარქისოვმა 20 კ.; ავსტურტი ჩავანაძემ 20 კ.; ყოჩია თავართქილძემ წიენებთ 10 მ. 70 კ.; სოთ თავართქილძემ წიენებთ 1 მ. 50 კ.; ალექსი პატარიამ 50 კ.

ზედამხედველი სკოლისა და სამკითხველის გამეგ მოსე მეგრელიძე.

ხლის წყეკლის შესახებ, მარა უზრავესობამ ყოველთვის უარ-ჰყო. პარტიის შარშანდელმა კონგრესმა და პრესამ უარჰყო აგრეთვე ბერშტაინის კრიტიკა და მიიღო ბერშტაინის წინააღმდეგი რეზოლიუცია. ასეთია ფაქტი. ცხადია, „ვერფრერის პროგრამა“ ისევე ისე პროგრამაა, როგორც წინათ, დროს მოიტეამის ის მშინ, როცა ის განხორციელდება და მასხადადმე საკირო აღარ იქნება. ბ. ხალმოსული და მის ახალ ამყოლებს ეტყუბათ ვეროპის ამებზე კარგათ ცოდნითა მინც საკიროველია ჩემნი ქვეყანა: თქვი ტუეილი და მასინგე იზოფი ქო-მაგებს, თქვი მართალი და მასინგე იზოფი მოწინააღმდეგეთ. კულტურა, აბა რა უნდაბა ეს ..

საქველ-მოქმედო საქმე.

I.

ქ-ნო რედაქტორო; გიგზავნიტ ჩემ მიერ შეგროვილს დ. კიათურაში 4 მ, 20 კ., ახალქალაქის მარხაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ, სია შემომწირველთა: 1 მ:—ლ. მარაქველიძემ, 50 კ. ვ. სვანიძემ, ყ. ი. ნანიშვილმა, გ. შარაშაძემ, ბ. ს. ვაჟაძემ, ნ. ჩიჩუამ; 30 კ. ნ. მეზუქმ; 20 კ. ლ. ანდროძემ და №№ სულ 4 მ. 20 კ.

გ. ნანელი.

ეს ფული გადაეცა გუბერნატორის კანცელარიაში

II.

ქ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ ქ. თფლისში მამონისკის თანაშემწეს კალ. გოგუას, რომელმაც გამოაუწერა 1899 წ. ერთნაირი ჯგერელი ჩემდამორწმუნებულ ძიებითი სკოლას და ბათუმში მცხოვრებთ —ძმებთ ნესტორ და ერასტ გოგუაძეებს, რომელთაც შე- მისწირეს ბილეთების ბლანკები და ერთი ბუთი ლირებული 6 მ.

ძიებითი სკოლის მასწავლებელი დავ. ერქომაიშვილი.

III.

ქ-ნო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთი „კველის“ საშუალებით უგულვლიადესი მადლობა გამოვუცხადოთ დიდად პატივცემულ თაგად ალექსანდრე დავითისძე ერისთავს, რომელმაც არ დიშურა და ქცევა ნახევარი საუკუნეოა მიწა შემოსწირა ჩვენ მიერ დაარსებულ სოფელ ციხეს (ოზურგეთის მხარაში) ციხის ორკლასიან სკოლას სამეურნეო განყოფილებით; აგრეთვე ბატონ კალენიკ იოსებისძე მესსს, რომელმაც ამავე სკოლას ამ ერთი წლის ვადით გაზეთი „კველი“ გამოუწერია.

დამარსებელნი და შემნახველნი ციხის ორკლასიანი სკოლისა ძმები გიორგი, ერშილ და ალექსანდრე შარაშიძეები.

IV.

ქ-ნო რედაქტორო!

ულრმეს მადლობას ვუცხადებთ ქ-ნ კვალიშვილს, რომელმაც წერა-კითხვა და ხეოსაქმე შეასწავლა ასამდე ღარიბ ქალიშვილებს უსასყიდლოთ და ახლაც განაგრძობს სწავლებას და თავის დულწარფელი შრომით მაგალითს უჩვენებს ბევრ ჩვენ ნასწავლ ქალებს.

სოფ. ხიდისთავი

ხიდისთაველი.

შვიდმოცის განსწორება

„კვალის“ უგანასწავლ ნომერში, გვ. 239 დაბეჭდილია, — „რესკარს რა კაკანებს“, უნდა იყოს: „ორი-ოდე სიტყვა რესკარსზე“.

„კვალის“ ფოსტა

ბ. შ—ლის. პასუხი მივიღეთ, მაგრამ ერთობ დაგვიანებულია და აღარ დაესტამბეთ.

თფლისის ქალაქის გამგეობა

სცხადებს, რომ ამ 1900 წლის 19 აპრილს, შუადღის 12 საათსე მოსდება.

საჯდრო ვაჭრობა

რომელსედაც ივარით გაცემულ იქნებო ქალაქის ქუჩების მოკირწველისა და შეკეთების საქმე: 1, 2, 3, ნაწილში, სულ 5000 ოთხ-კუთ. საყენი; მე-4, 5 და 6 ნაწილში 2500 ოთხ-კუთ. საყ.; მე-7 და 8 ნაწ.— 2500 ოთხ-კუთ. საყ.; და მე-9 და 10 ნაწ.— 5000 ოთხ-კუთისი საყ.

მსურველთ შეუძლიათ გაშინჯონ ზირობები განკვეთის ზირველ განყოფილებამი ვოკველ-დავ, 9—3 საათ.

„კვალის“ და „ჯიჯილის“ რედაქციის

იცილება შემდეგი საკუთარი გამოცემები:

- თამარ დუდოფელის სურთა 1 მ. 50 კ. (კასგზ. 50 კ.)
- აღბოში „შუგას სურათებში“ უდ. 1 მ. 20 კ. (კასგზ. 20 კ.)
- პატარა ღორდი . . . . . 30 კ.
- ჩვენი ძეგლი გმირები . . . . . 30 კ.
- თეთრი და ზანჯი . . . . . 15 კ.
- სოფლოზნ მეფე . . . . . 10 კ.
- ორი მითხრობა გვ. ნინოშვილისა . . . . . 10 კ.

ჩვენი კველი გმირები

თხზულება გ. წერეთლისა.

ფასი 30 კან.

იცილება „კველი“-ს რედაქციაში (არტიკლერების ქუჩა № 5) და წერა-კით. საზ. წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში მიტროფანე ლალიძესთან

შინაბანი: პერბერტ სენსერი. — პრესა ნ. ყორდანიასი. — სვადა-სვადა ამბავი. — „კველი“-ს კორესპონდენტები. — ინგლის-ტრანსკავალის ომი. — სიმღერა ასოთ-ამწეობისა ი. ეფლ. შვილისა. — მსოფლიო გამოფენა პარიჟში, წერილები პარიჟიდან ლ. და-სა. — ებრაელთა ეროვნული მოძრაობა (და-სახრული) და ჩხევილისა. — გზა-და-გზა ნ. ყორდანიასი. — წერილი რედაქციის მიმართ. — საქველმოქმედო საქმე. — შეტ-ღობის გასწორება. — „კვალის“ ფოსტა და განცხადებები.

რედაქტორ-გამომც. ან. თ. წერეთლისა.